პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — მაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

□ სამშაბათი 21 მარტი 1978 წ. □ № 67 (17111) □ ფასი 2 კაპ.

ლენინური შაბათობა გვიხმობს

□ თბილისის კომოლ-სართავ ფაბრიკაში 750 კაცი მიიღებს მონაწილეობას კომუნისტურ შაბათობაში. მათი ერთი ნაწილი დაალაგებს საწარმოს ტერიტორიას, პროფილაქტიკას გაუწევს მოწყობილობას, მეორე ნაწილი გამოუშვებს პროდუქციას.

შრომის დღესასწაულის დღეს ფაბრიკის კოლექტივი აწარმოებს 50 ათასი მაისეთის ნართს, ხუთწლედის ფონდში გადარიცხავს ორი ათას მანეთს.

□ გადავაკეთოთ კომუნისტური შაბათობა შრომის უმაღლესი ნაყოფიერების დღედ! — ასეთი დევიზით გაიმართა სოციალისტური შეჯიბრება თბილისის ბამბის ფაბრიკაში. მრავალმა მუშამ და ბრიგადამ იკისრეს ვალდებულება ამ დროისათვის შეასრულონ ოთხი თვის დავალება.

შაბათობის დღეს საწარმოს მშრომელები დაზოგილი ნედლეულით, მასალებით, ელექტროენერგიით გამოუშვებენ ცამეტი ათასი მანეთის პროდუქციას.

□ ზონაპარის წყალსაცავის მშენებლებმა ფართოდ დაუპირეს მოწინააღმდეგეთ [illegible] ბას მოაწყონ [illegible] ბის 108-ე წლისთავის აღსანიშნავად კომუნისტური შაბათობა. [illegible] 200 კაცზე მეტი [illegible] 2.000 [illegible] თანხის სამშენებლო სამუშაოებს შეასრულებენ.

წყალსაცავის მშენებლობის ცალკეულმა მუშაკებმა — მებულდოზერემ ბ. ჭაჭიამ, მექანიზატორმა გ. პლიევამ, მექანიკოსებმა რ. გაბარაევმა, ო. ზერეკიძემ და სხვებმა გადწყვიტეს 22 აპრილს იმუშაონ დაზოგილი ხაწვავ-ხაპური მასალებით, ხაწარმოო დავალებები შეასრულონ 120-130 პროცენტით.

□ სარხერის მშრომელებმა გადწყვიტეს გამოაცხადონ 22 აპრილი უმაღლესი შრომის ნაყოფიერების დღედ.

ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ გამომუშავებულ სახსრებს ხაკონსერვო ქარხნის, ხეტყის დასამზადებელი ბაზის, ხავანის, არგვეთის და სხვა სოფლების კოლმეურნეობების კოლექტივები. (საქინფორმი).

სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გზით

ციდი სიხარული განიცადა ამ დღეებში საბჭოთა საქართველომ. ჩვენი რესპუბლიკა ზედიზედ მეხუთედ დაჯილდოვდა გარდამავალი წითელი დროშით. ამ საზეიმო და ღირსსახსოვარ უამს დროშის მოპოვებით ფრთაშესხმულ ჩვენს მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას და ინტელიგენციას დიდი ჭილდო ამავე დროს დიდ მოვალეობასაც აკისრებს. მოუწოდებს უფრო მაღალი მიჯნების დაპყრობისათვის, რაზმავს სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის უმთავრესი, ყველაზე ძირითადი პრობლემების გადაჭრისათვის საბრძოლველად.

ასეთი ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და რეს-პუბლიკის ეკონომიკის შემდგომი განმტკიცებისათვის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა სამეურნეო-მათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის საკითხი, რომელიც ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმმა ღრმად და კომპეტენტურად განიხილა. დიდი დამაჯერებლობით და მეცნიერული სიზუსტით გაანალიზდა ჩვენი სოფლის მეურნეობის შემდგომ დაჩქარებულ განვითარებასთან დაკავშირებული რთული კარდინალური საკითხები. ის განაპირობა იმ ხანგრძლივმა და გულმოდგინე მუშაობამ, რომელიც პლენუმს უძღოდა წინ და რომლის დროსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი პარტიულ-სამეურნეო აქტივს, მთელს ხაზოგადოებრიობას ითათბირებოდა და განსახილველ საკითხზე მათ წინადადებებს, რჩევა-დარიგებებს თვალსაწინეოდა.

მთელი არხი და სულ სკვეთება ამ პლენუმისა, რომელიც ახალი ნაბიჯია რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში, ის არის, რომ რაც შეძლება გონივრულად განვახორციელოთ ფართო კოოპერირების ბაზაზე ჩვენი სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია და გადავიყვანოთ იგი თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე. ეს კი სოციალისტური სოფლის მეურნეობის მაგისტრალური მიმართულებაა, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმმა და პარტიის XXIV და XXV ყრილობებმა დიდი უურადღება დაუთმეს.

პლენუმზე დიდი სჯა-ბაასი გაიმართა იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება ჩვენს რესპუბლიკაში პარტიის XXV ყრილობის გადწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის საკითხებზე და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ისტორიული დადგენილება „სამეურნეობათშორისო კოოპერაციის და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის და კონცენტრაციის შესახებ“. ამ ჭეშმარიტად საპროგრამო დოკუმენტის მიღებიდან განვლილი პერიოდში ჩვენს რესპუბლიკაში დიდი მოზანმიმართული და თანმიმდევრული მუშაობა წარმოებს სოფლის მეურნეობის საერთო დონის ამაღლებლად. ამის შედეგად რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ მაღალი მიჯნები დაიპყრო. პროდუქციის ნაშუალო-წლიურმა წარმოებამ, მეცხრე ხუთწლედის იმავე მაჩვენებლებთან შედარებით, რესპუბლიკაში 23 პროცენტით მოიმატა. შარშან ნამობლოს ღირსეული ნობათები უფლვნეს მეჩაიეებმა, მეციტრუსეებმა, მებაღეებმა, მებოსტნეებმა. მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის და მატყლის მიყიდვის წლიური გეგმები მეცხოველეებმაც.

სათანადოდ შეაფასა რა ეს დადებითი შედეგები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონე, ეკონომიკური მაჩვენებლები და უმნიშვნელოვანესი პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპი ჯერ კიდევ არ შეესაბამება მშრომელთა მზარდ მოთხოვნილებებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სწორედ ამიტომ ყოველ ღონეს მიმართავს იმისათვის, რომ ეს დარგი მოწინავე მიჯნებზე გამოვიდეს და IX პლენუმიც ამ ამოცანის გადაწყვეტის პრაქტიკული ღონისძიებების განსაზღვრას მიეძღვნა.

პლენუმის დოკუმენტები, მასალები გვასწავლის, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი სპეციალიზაცია და კონცენტრაცია ობიექტური პროცესია, რომელიც გაპირობებულია მაღალეფექტიანი მანქანებისა და ტექნოლოგიათა მრთვისა და აღრიცხვის ახალ საშუალებათა მოზღვავებით, რომელთა გამოყენება მხოლოდ მსხვილ საწარმოებშია შესაძლებელი. ამ პროცესის დასაჩქარებლად პარტიამ შეიმუშავა და თანმიმდევრულად ახორციელებს კიდევ საწარმოო კოოპერაციასა და აგროსამრეწველო ინტეგრაციას.

ამ მიმართებით მუშაობამ ბოლო წლებში შესამჩნევი სახეკეთო ძვრები გამოიწვია რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციაში. მიმდინარე წლის დამდეგისათვის საქართველოში სამასამდე სამეურნეოთაშორისო საწარმო მოქმედებდა, მათ შორის 193 — სასოფლო-სამეურნეო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აზრით, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეოთაშორისო სპეციალიზაციის და კონცენტრაციის უპირატესობა და ეკონომიკაზე მისი დადებითი ზემოქმედება განსაკუთრებით ჩანს აბაშის, ხობის, კასპის, გურჯაანის, წითელწყაროს და სხვა რაიონებში სამეურნეოთაშორისო გაერთიანებების მუშაობის მაგალითებით. ამ მაგალითებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკისათვის, სადაც 68 რაიონიდან მხოლოდ რვა რაიონშია მომგებიანი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. ამიტომ სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის საქმეში აბაშური, გურჯაანული და სხვათა გამოცდილება ადგილობრივი პირობების შესაბამისად სხვა რაიონებშიც უნდა გავრცელდეს.

ცხოვრებამ გვიკარნახა მხარი დავუჭიროთ, განვავითაროთ და დავნერგოთ კერძოდ სხვადასხვა რაიონში მელიორაციის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების, ხეხილის და ვაზის ნერგების წარმოების, პროდუქტების დამზადების დარგებში მოქმედი სამეურნეოთაშორისო კოოპერაციის ეფექტიანი ფორმები.

პარტიული ორგანიზაციების ვალია სათავეში ჩაუდგნენ და გაფართოონ სამეურნეოთაშორისო კოოპერაციის ბაზაზე სპეციალიზებული ინდუსტრიული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის ეფექტიანი ფორმების ძიება, რომელიც ბევრ რაიონში მხოლოდ საწყის სტადიაშია.

პრინციპულად ახალ მიდგომას მოითხოვს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობისა და სამეურნეოთაშორისო საწარმოების თანამშრომლობის საქმე. უკეთ უნდა გამოვიყენოთ რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებების შექმნისათვის არსებული პირობები. ამასთან, როგორც პლენუმზე ითქვა, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არ არის მომზადებული სათანადო ნიადაგი იმისათვის, რომ მასობრივად შეიქმნას აგროსამრეწველო საწარმოები და გაერთიანებანი. ამასთან დაკავშირებით და, საერთოდ, სოფლის მეურნეობის კარდინალური პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა სწორი, ოპტიმალური გზების ძიება. თამამი იქსპერიმენტი, მიკვნერებისა და პრაქტიკის შეთანხმებული თანამშრომლობა.

პლენუმის გადაწყვეტილებები გვავალებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციფიკურ თავისებურებათა შესაბამისად ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების პროცესის ობიექტურ კანონზომიერებად მივიჩნიოთ ზონალური სპეციალიზაცია და მისი თანამიმდევრული გაძლრმავება. ამის საფუძველზე შემუშავებულია და უკვე ხორციელდება კიდევ რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შიდასამეურნეო, შიდარაიონული და სარაიონთაშორისო სპეციალიზაციის გეზი.

ახლა, როცა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინდუსტრიალიზაციასთან, მისი ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფასთან დაკავშირებით რადიკალური ცვლილებები ხდება, ბევრი რამ არის გასაკეთებელი იმისათვის, რომ კადრები მუდმივად იმაღლებდნენ თეორიულ დონეს, იღრმავებდნენ ცოდნას და ეუფლებოდნენ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, მოწინავე გამოცდილებას.

არ უნდა დავუშვათ ახლო წარსულის შეცდომების განმეორება, როცა ცალკეული ხელმძღვანელები და სპეციალისტები უხშად არღვევდნენ გაღრმავებული ზონალური სპეციალიზაციის პრინციპებს, ზოგან კი გატაცებული იყვნენ მეურნეობათა მექანიკური გამსხვილებით. წარსულის ეს შეცდომები და ხარვეზები რაც შეიძლება სწრაფად უნდა აღმოვფხვრათ.

დროის მოთხოვნაა, დღენიადაგ ვიზრუნოთ სოფლის მეურნეობის მართვის სისტემის გაუმჯობესებისათვის, მართვის რაციონული რგოლების გაძლიერებისათვის, ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოების უფლებებისა და დამოუკიდებლობის გაფართოებისათვის. სადაც კი საჭიროა იქნება მართვის ზედმეტი რგოლების გაუქმებასაც არ უნდა მოვერიდოთ. ამ საქმეში მავნეა აჩქარებაც და დაყოვნებაც. უნდა დავმლიოთ ამ დარგში კონსერვატიზმისა და გაუბედაობის ელემენტები.

პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ჩვენი მუშაობის ყველა რგოლში უნდა უზრუნველყონ ორგანიზებულობა, ყოველნაირი დისციპლინის განმტკიცება, მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხისათვის ბრძოლის კიდევ უფრო გაძლიერება.

ახლა, როცა დასახულია მოქმედების ნათელი პროგრამა, საბრძოლო ამოცანები თითოეული პარტიული მუშაკის, ლექტორ-მომხსენებლის, პროპაგანდისტის და აგიტატორის უპირველესი ხაზრუნავია მკაფიოდ, ღრმად განუმარტონ მშრომელებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პლენუმის მიერ დასახული ამოცანების შესრულებას ხალხის კეთილდღეობის ზრდისათვის, მისი კულტურული და სოციალური განვითარების დონის ამაღლებისათვის.

დიდი შრომითი საქმეებით არის დატვირთული IX პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის პირველი დღეები. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ პლენუმის მონაწილენი მშრომელებთან მართავენ უშუალო, გულახდილ საუბრებს, გულისყურით ისმენენ სურვილებს, შენიშვნებსა და წინადადებებს.

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯებული საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა კარგად დაიწყეს მეათე ხუთწლედის მესამე წელი. შარშანდელთან შედარებით უფრო ორგანიზებულად მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები; მასობრივად გაჩაღდა საკვები კულტურების თესვა; მტკიცედ საფუძველი ეყრება უხვ მოსავალს.

მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ მოკლე ვადებში და მაღალ აგროტექნიკურ დონეზე თესვის სამუშაოების მოწყობა ყველაზე საქმიანი, კონკრეტული პასუხი იქნება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის გზაზე.

დამკვრელურ წელს — დამკვრელური შრომა!

თაოსნობას მხარს უჭერენ

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პროდუქცია ეგზავნება საბჭოთა კავშირის 170 სამრეწველო საწარმოსა და უცხოეთის 35 ადრესატს.

მეტალურგებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მოსკოველთა თაოსნობას — 22 აპრილს მოაწყონ ვ. ი. ლენინის დაბადების 108 წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობა. „წითელ შაბათობას“ — შრომის უმაღლესი ნაყოფიერება!“ — ასეთი დევიზით იშრომებენ ამ დღეს ქარხნის მშრომელები.

მაღალი მაჩვენებლებით დაიწყო პირველი კვარტალის მესამე თვე № 4 ხაბაქროს კოლექტივმა. დაზოგა ორ მილიონ კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის მდნობელთა კომუნისტური შრომის ბრიგადას, რომელსაც გ. კობახიძე ხელმძღვანელობს. ცვლაში ეს კოლექტივი დავალების გადაჭარბებით ორ ტონამდე ლითონს უშვებს.

მოწინავე მდნობელებმა გადაწყვიტეს ხუთწლედის მესამე წლის გეგმა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავისათვის შეასრულონ.

ხურათს: მდნობელთა კომუნისტური შრომის ბრიგადა (მარცხნიდან მარჯვნივ): გ. არევაძე, გ. აბესაძე, ი. დეკიძე და ბრიგადირი გ. კობახიძე.

ფ. ბერსამის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ავანგარდულად გაცდენილი, დავძლიოთ ჩამორჩენა მეცხოველეობაში

1978 წლის იანვარ-თებერვალში რესპუბლიკაში სერიოზული ჩამორჩენაა სახელმწიფოსათვის პირუტყვისა და ფრინველის ჩაბარების დავალებათა შესრულებაში, შემცირდა რძის დამზადების ტემპი. პირუტყვისა და ფრინველის სახელმწიფოსათვის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა მხოლოდ 52 პროცენტით შესრულდა, ხოლო გასული წლის დონესთან შედარებით შესყიდულია 1,8 ათასი ტონით ნაკლები. ორი თვის მანძილზე გადამამუშავებელ მრეწველობას დაკლეს 1.400 ტონაზე მეტი პირუტყვი. განსაკუთრებით შემაშფოთებელია რძის დამზადების ტემპების შემცირების ტენდენცია, რაც რესპუბლიკაში არ შეიმჩნეოდა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე. რძის დამზადების კვარტალური გეგმა 58 პროცენტით შესრულდა, რაც გასული წლის დონის 99,5 პროცენტს შეადგენს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „რესპუბლიკაში 1978 წლის იანვარ-თებერვალში ხორცისა და რძის ხახელმწიფო შესყიდვის გეგმების შესრულებაში ჩამორჩენის მიზეზების შესახებ“ და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ ჯერ კიდევ მარშან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა არსებითი ნაკლოვანებანი რესპუბლიკის ზოგიერთი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაობაში. 1978 წელს პირუტყვისა და ფრინველის სახელმწიფო შესყიდვის გეგმების დაპროგნოზებასა და უზრუნველყოფაში და დაავალა მათ დასახათ ქალაქების მშრომელებისათვის მეცხოველეობის პროდუქციის სტაბილური მიწოდების უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიებანი, განსაკუთრებით პირველ და მეორე კვარტალებში.

მაგრამ 1977 წელს ხორცის სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შესრულების შედეგებმა ცხადყო, რომ ბევრ რაიონსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში იყო სერიოზული შეცდომები და ხარვეზები.

ბოგდანოვკის, ახალციხის, სიღნაღის, წალკის, თეთრი წყაროს, ფოთისა და თიანეთის რაიონების ხელმძღვანელებმა გამოიჩინეს ფორმალიზმი და არაკომპეტენტურობა საქმიანობის ამ სფეროში, რის შედეგად თითოეულმა აღნიშნულმა რაიონმა სახელმწიფოს დააკლო 260-დან 384 ტონამდე პირუტყვი და ფრინველი. ჯეროვნად არ განუსაზღვრავთ თავიანთი შესაძლებლობანი და კონკრეტულად არ უმუშავავთ გეგმებისა და დავალებების შესრულების საკითხებზე ადგილობრივ ალსრ, აჭარის ალსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელებს.

როცა ვაანალიზებთ პირუტყვისა და ფრინველის, რძის დამზადების 1978 წლის ორი თვის დავალებათა შესრულებაში მთლიანად რესპუბლიკაში ჩამორჩენის მიზეზებს, საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს იმის გამო მოხდა, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების ხელმძღვანელებს არ გამოუტანიათ დასკვნები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებებიდან, არ გამოუჩენიათ საკმაო ვალიფიკაცია, კონკრეტულად არ შესდგომიან საქმეს, შეანელეს ორგანიზატორული მუშაობა ადგილებზე, სათანადო კონტროლი არ დაუწესეს როგორც ზემდგომ ორგანოების, ისე საკუთარი გადწყვეტილებების შესრულებას.

რესპუბლიკის ორი რაიონის შემოწმების შედეგებმა იუხადყო, რომ დამზადების მოცულობის შემცირება მარშანდელთან შედარებით — ფოთისა — 69 ტონით და რძისა — 27 ტონით წულუკიძის რაიონში და სახორცე მეცხოველეობაში სამუშაოთა შეწყვეტა ქარელის რაიონში — ძირითადად აიხსნება პირუტყვის სუქებისა და მოვლა-შენახვის არასწორი ორგანიზაციით, იმით, რომ არ ჰქონდათ მტკიცე საკვები ბაზა, ზოოტექნიკური აღრიცხვა და, რაც მთავარია, უსისტემოდ კლავდნენ პირუტყვს, 1977 წელს არ ამზადებდნენ სასუქებელ კონტინგენტს 1978 წლისათვის.

წულუკიძისა და ქარელის რაიონებში ჯეროვნად არ აფასებენ საკვებწარმოებისა და საკვების მომზადების საკითხებში მეცნიერული მიღწევების და მოწინავე გამოცდილების დანერგვის მნიშვნელობას. მეურნეობებში უურადღებას არ უთმობენ საკვების მოსამზადებელი მოწყობილობით ფერმების აღჭურვას, რითაც მნიშვნელოვანწილად არის განპირობებული ამ რაიონებში რძის წარმოებისა და დამზადების საგეგმო დავალებათა ჩაფუშვა.

უკანასკნელი წლების მანძილზე წულუკიძის რაიონში უკონტროლობისა და უპასუხისმგებლობის შედეგად ფერმაში ბოროტმოქმედება ფეხმოკიდებულია. ბევრ ადგილას ფერმებიდან ცხვრის, ძროხის, ხბოსა და ფრინველის ქურდობა ჩადენილ ბოროტმოქმედებად ითვლებოდა. ეს ბოროტმოქმედები ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე ფერმებიდან ერთ ადგილიდან ორ-სამ ასეულ ცხვარს, ასეულ ფრინველს ან ოცეულ ძროხას ან ხბოს ერთ ღამეში ან ორ-სამ ღამეში ქურდობენ

კოლექტივის პასუხისმგებლობა

□ თანამდებობა და პასუხისმგებლობა □ მეცნიერული სამუშაოდან — პარტიულ პოსტზე □ კომუნისტი პასუხს აგებს თავისი კოლექტივის წინაშე.

რა დასამალია და, ზოგჯერ ისე მოიხსნება ხოლმე პარტიული აღრიცხვიდან კომუნისტი, ისე გადავა ხოლმე ხვიგან, რომ პარტიული ორგანიზაციის კომუნისტები კი არა, თვით ბიუროს წევრებიც ვერ იგებენ მის წასვლას.

მაგრამ აი რუსთავის „ავტომატმრეწვის“ ინსტიტუტში სწორედ იმ მომენტს შევესწარი, როცა კომუნისტის აღრიცხვიდან მოხსნა, ერთი შეხედვით თითქოს ფორმალური აქტი, პარტორგანიზაციის, კოლექტივის განსაკუთრებული უურადღების საგნად, დიდი და გულითადი ამხანაგური საუბრის საბაბად იქცა. კოლეგისა და მეგობრის ეს თვისებური გაცილება, რომლის უნებლიე მოწმე გავხდი, იმდენად საყურადღებოდ და ნიშანდობლივად მეჩვენა, რომ იადგილწყვიტე სხვებისთვისაც მეამბა.

...პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტში დიდხანს ვაკანტური იყო ადმინისტრაციული და საავარო-საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგის ადგილი, შესაფერის კანდიდატურას ეძებდნენ. ბოლოს არჩევანი მრეწველობაში საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო საკავშირო ინსტიტუტის საგეგმა-საწარმო განყოფილების გამგეზე ბაადურ გოგიჩაშვილზე შეჩერდა. ამ ინსტიტუტს შემოკლებით „ავტომატმრეწველსაც“ უწოდებენ. გოგიჩაშვილი უკვე შეუოგა მოშამობას ახალ თანამდებობაზე და ახლა ინსტიტუტში იმიტომ მოვიდა, რომ პარტიული აორიგინალიდან მოხსნილიყო.

ამხანაგიმ შეეტყოთ მისი მოსვლის ამბავი და ინსტიტუტის დირექტორის რ. სიგუას კაბინეტში რიგრიგობით შემოდიოდნენ. ეს ინსტიტუტი რამდენიმე წელიწადია, რაც არსებობს და მან უკვე არაერთი სერიოზული გაწეულია ჩაკეთა, როგორც საკავშირო მასშტაბით ავტომატიკისა და მართვის დარგში ერთ-ერთმა პირველხარისხოვანმა. ავტორიტეტულმა და კომპეტენტურმა სამეცნიერო-საპროექტო დაწესებულებამ. აქ დამუშავდა და გადაწყდა. შემდეგ კი წარმოებაში დაინერგა მართვის მრავალი სამეცნიერო-საწარმოო პრობლემა. ახლა კი კვლავ იმ გაცილებას დავუბრუნდით.

კიდევაც მიეჩარს იმის გაზსნება. თუ პირველად ვინ და როგორ წამოიწყო საუბარი. ეს კი, რომ მერე, როცა ქოტა მინელდა მოკითხვები და მილოცვები. დირექტორი რ. სიგუა წამოდგა და დაიწყო:

— სასიხარულო და სასიამოვნო ფაქტის მოწმენი ვართ. — თქვა მან. — ერთი მხრივ გულოსაწყვეტია, რომ „ავტომატმრეწველი“ წავიდა ერთ-ერთი წამყვანი განყოფილების გამგე ბაადურ გოგიჩაშვილი, რომელსაც პარტიის საქალაქო კომიტეტის განყოფილების ხელმძღვანელობა ჩაბარეს, მაგრამ, მეორე მხრივ, საამაყოა, რომ მას დიდი ნდობა გამოუცხადეს. ეს პატივია როგორც ბაადურისათვის, ისე ჩვენი ათასკაციანი კოლექტივისათვის.

ინსტიტუტის დირექტორმა მთელი ინსტიტუტის თანამშრომელთა სახელით მიულოცა კოლეგას ახალი თანამდებობა და მოაგონა, თუ რა განსაკუთრებით პასუხსაგებია დღეს რუსთავში, და საერთოდ მთელ რესპუბლიკაში, ავტორების იმ უბნებზე, რომლებიც მას ჩაბარეს — ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, საგეგმო, საფინანსო და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში მტკიცე სახელმწიფო წესრიგის დამყარება, რა დიდი ამოცანებია დასახული ამ სფეროთა პრობლემების გადასაჭრელად, ნეგატიური მოვლენების აღმოსაფხვრელად, მოაგონა როგორ მწვავე და პრინციპულად იდგა ეს საკითხები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V და VIII პლენუმებზე.

გამომსვლელებიდან, ერთნი მის ბიოგრაფიის ცალკეულ მომენტებს იხსენებდნენ, მეორენი — მის პარტიულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, მესამენი — მის კეთილშობილურ თვისებებს.

— ბაადური რუსთავის ბავშვია. — აქ დაამთავრა საშუალო სკოლა. შრომითი საქმიანობის დაწყებიდან სულ ორ კოლექტივში მოუხდა მოღვაწეობა — მეტალურგიულ ქარხანაში და ჩვენთან, — თქვა მთავარმა სპეციალისტმა ი. მესხელმა, — რკინიგზის საამქროს ზეინკლობით დაიწყო და უკვე ბრიგადირი იყო, როცა ქარხანამ იგი მოსკოვის ორჯონიკიძის სახელობის საინჟინრო-ეკონომიკურ ინსტიტუტში გაგზავნა სწავლის გასაგრძელებლად. ხუთი წლის შემდეგ უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული ბაადური ქარხანას დაუბრუნდა, ეკონომისტად მუშაობდა. 1970 წლიდან ჩვენი კოლექტივის წევრია.

გამომსვლელები აღნიშნავდნენ, თუ როგორ მიიწევდა წინ მუყაოთი და საქმის მცოდნე ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი. ჯერ უფროსი ინჟინერი იყო, შემდეგ ჯგუფის ხელმძღვანელი, მერე განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი, ბოლოს — გამგე.

პარტბიუროს მდივნის მოადგილე კ. ნინიძე უმთავრესად ბაადურის პარტიული და საზოგადოებრივი მუშაობის მხარეებზე შეჩერდა, აღნიშნა, რომ იგი პროპაგანდისტია, სხვადასხვა დროს არჩეული იყო ქარხნისა თუ ინსტიტუტის კომკავშირულ, პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელ შემადგენლობაში, რომ მარშან იგი რუსთაის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს და ამავე დროს პარტიის საქალაქო კომიტეტის შტატგარეშე ინსტრუქტორია.

— ადამიანებისადმი გულისხმიერი და უურადღებიანი, ამასთან პრინციპული და მომთხოვნია საკუთარი თავისადმიც და ხელქვეითებისადმიც — აი, როგორია ბაადური. — ამბობდა ბ. ფუტკარაძე, რომელმაც გოგიჩაშვილი შეცვალა ძველ თანამდებობაზე.— ეს თვით განყოფილებასაც ეტყობა, ყველაფერი წესრიგშია. ამან გამიადვილა სწრაფად გავრკვეულიყავი მუშაობაში.

გვჯერა, რომ ბაადური ასეთივე მომთხოვნი და პრინციპული იქნება მუშაობის ახალ უბანზე, სადაც ეს განსაკუთრებით საჭიროა, საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობით ეცდება იქაც მტკიცე წესრიგი დამყარდეს.

ყოველივე ამას კომუნისტები იმიტომ უსვამდნენ ხაზს, რომ მრავალი ღონისძიების განხორციელების მიუხედავად, ქალაქის მომსახურების სფეროში მაინც ბევრი დარღვევებია, რომ ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც ატყუებენ მომხმარებლებსა და კლიენტებს, ზედმეტს აწერენებენ, გამოძალვას ეწევიან, რომ ადმინისტრაციული ორგანოები ყოველთვის მთელი სიმკაცრით როდი იბრძვიან სახელმწიფო ქონების დამტაცებელთა და სპეკულანტთა წინააღმდეგ, და რომ ახლა ეს ჩვენი ცხოვრების ყველაზე საჭირბოროტო და აქტუალური პრობლემებია.

— აქ ყოფნის დროსაც, — ეუბნებოდნენ ისინი — რა თქმა უნდა, ამჩნევდი ამ ნეგატიურ მოვლენებს, მაგრამ, თუ მაშინ ბრძოლის შესაძლებლობანი შენთვის შეზღუდული იყო და ხელთ არ გქონდა ყველა საშუალება, ახლა სულ სხვაა. ახლა როგორც ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკს, საამისოდ მეტი უფლებები და შესაძლებლობანი გაქვს, ამიტომ მეტი პასუხისმგებლობაც გაკისრია. მუდამ გახსოვდეს, აბარებდნენ ისინი, რომ შენს უკან სნ ინსტიტუტის კოლექტივია და რომ მის წინაშე შენ კვლავ ხარ პასუხისმგებელი.

თითოეული ცალ-ცალკე და ყველა ერთად იმედს გამოთქვამდნენ, რომ მათი რიგებიდან წასული, ინსტიტუტის კომუნისტების ნდობით აღჭურვილი თავის ცოდნასა და გამოცდილებას, ენერგიასა და შესაძლებლობას მთლიანად მოახმარს ქალაქში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებას, ყველგან და ყველაფერში სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას.

კაცმა რომ თქვას, თავისი წევრისათვის კოლექტივის პასუხისმგებლობის პრობლემა, და პირიქით, მარტო ამ ინსტიტუტისთვის დამახასიათებელი და კერძო შემთხვევა როდია. ამიტომ იგი სხვა კოლექტივებსაც უნდა აღელვებდეს და აფიქრებდეს. ისინიც სწორედ ასე უნდა ზრუნავდნენ მათი რიგებიდან დაწინაურებულზე, გული შესტკიოდეთ მისი საქმიანობისათვის, მისი ბედ-იღბლისათვის.

ხ. ხარაზიშვილი,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.
რუსთავი.

მეცხოველეობა—დამკვრელური ფრონტი

კოლმეურნეები პირობას დებენ...

სიღნაღის რაიონის მშრომელებმა ვალდებულება აიღეს ხუთწლედის მესამე წელს სახელმწიფოს მიჰყიდონ 3.870 ტონა ხორცი, 8.400 ტონაზე მეტი რძე, 6,2 მილიონი ცალი კვერცხი.

მეცხოველეთა შორის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება დასახული მიჯნების წარმატებით მიღწევისათვის.

სოფელ ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმაში მყავთ 1.560 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მათ შორის 550-ზე მეტი პროდუქტიული ძროხაა. კოლმეურნეები პირობას დებენ, რომ წლევანდელ წელს ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნავენ.

სურამზე: სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის კოლმეურნეობის ერთ-ერთი საუკეთესო მწყემსი ზაურ ჭოტაშვილი.

მ. ებინოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

„ჩარჩები“

რედაქციას უპასუხებს პარტიის სამტრედიის რაიკომი

ჩვენს გაზეთში ასეთი სათაურით დაბეჭდილ ხაკ. კორესპონდენტის ბ. ჩხაიძის წერილში მხილებული იყო სამტრედიის რაიონის ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი. ამის გამო პარტიის სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი შ. ცაბარეიშვილი რედაქციას ატყობინებს:

გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილში „ჩარჩები“ მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეიცავს.

რაიონის საწესნეულებო მომსახურების საწარმოო კომბინატის ყოფილი მუშაკი მ. ლეკვა ამჟამად მსჯავრდადებულია, მასვე დაკისრებული აქვს მითვისებული თანხის დაფარვა. ამასთან რაისაბჭოს აღმასკომმა მიიღო ზომები კერძო რეწვის ასაკრძალად. სავაჭრო ობიექტებში გამოვლინებულ ნაკლოვანებებზე იმსჯელეს შესაბამისი სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა და სათანადო ღონისძიებები განხორციელდა. კერძოდ, რაიკომაკავშირის გამგეობასთან არსებული დანაშაულის პროფილაქტიკისა და სამართალდარღვევის ფაქტებზე ოპერატიული რეაგირების კომისიამ განიხილა კოოპვაჭრობის პავილიონში გამომეცხვნებული დარღვევები და კოოპვაჭრების დირექტორს დ. მუქერიას სასტიკი საყვედური გამოუცხადა, საქონელტალონეცინაძეს საყვედური, ხოლო გამგე-გამყიდველს მაჭავარიანს საკითხი განსახილველად რაიკოოპკავშირის გამგეობას გადაეცა.

სამტრედიის ქალაქვაჭრობის შესაბამისმა კომისიამ სასურსათო მაღაზიის გამგე-გამყიდველებს მ. ვაშაკიძეს სასტიკი საყვედური, ს. გოგიბერიძეს და მ. ბუაძეს, აგრეთვე № 19 სასურსათო მაღაზიის გამყიდველს ა. თევზაძეს საყვედური გამოუცხადა, ხოლო ამავე მაღაზიის გამგეს ა. რურუას მიეთითა. საქართველოს რკინიგზის საგზაო ბუფეტებისა და რესტორნების ტრუტის ეკონომიკურმა სამსახურმა სამტრედიის საგზაო რესტორნის დირექტორს კ. თოფურიას საყვედური გამოუცხადა. მასვე დაეკვალა სამუშაოდან გაათავისუფლოს მებუფეტე მ. კიკაჩიშვილი და მზარეული ვ. სითამარელი.

წერილში მოყვანილ საკითხებზე ჯერ იმსჯელა პარტიის რაიკომთან არსებულმა ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო კომისიამ, ხოლო შემდეგ რაიკომის ბიურომ და სათანადო ღონისძიებები დასახა. ამასთან ბიურომ ცნობად მიიღო, რომ ამჟამად სპეციალური კომისია სწავლობს რაიონის სავაჭრო ორგანიზაციებში ვაჭრობის წესების დაცვის საკითხს და სათანადო ღონისძიებანიც განხორციელდება.

ამასთანავე უნდა გაცნობოთ, რომ მთელ რიგ ამ ნაკლოვანებათა შესახებ წერდა აგრეთვე რაიონული გაზეთი.

არ დავუშვათ წველადობის შემცირება

რესპუბლიკის მეცხოველეებმა, რომლებიც ასრულებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებებს, შესაძლებლად ჯანჯარდეს რძის წარმოება, დამზადება და გაუმჯობესეს მისი ხარისხი. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ერთ ძროხასა და ფურ-კამეჩზე საშუალო ნაწველი გაიზარდა 223 კილოგრამით, პირველ ხარისხად ჩაბარებული რძის რაოდენობა 22-დან 62 პროცენტამდე გადიდდა.

მაგრამ ეს სწრაფი ტემპიც კი მთლიანად არ შეესაბამება იმ პროგრამას, რომელიც მეათე ხუთწლედისთვისაა დამტკიცებული, იი რატომ იწვევს განსაკუთრებულ შეშფოთებას გეგმის შესრულებაში ტემპის შენელებისა და ერთგვარი ჩამორჩენის ნიშნები, რომლებიც მიმდინარე წლის პირველ ორ თვეში შეიმჩნეოდა.

რძის სახელმწიფო შესყიდვის პირველი კვარტალის გეგმა რეპუბლიკაში 56 პროცენტით შესრულდა. მიმღებ პუნქტებში ჩაბარებულია 28.875 ტონა რძე გათვალისწინებული 30.787 ტონის ნაცვლად, ესე იგი 1.912 ტონით ნაკლები. ეს აგრეთვე რამდენადმე ნაკლებია, ვიდრე გასული წლის იმავე პერიოდში იყო.

რომელი რაიონები ჩამორჩნენ ყველაზე მეტად, ვინ იმსახურებს, უწინარეს ყოვლისა, საყვედურს იმისათვის, რომ შეასუსტა ყურადღება პირუტყვის გამოზამთრების პერიოდში სარძეო მეცხოველეობისადმი? ამას პასუხს სცემს ცხრილი, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ.

20 რეგიონის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, სამეურნეობათშორისო ორგანიზაციებმა შეამცირეს რძის მთლიანი წველადობა შარშანდელთან შედარებით. სინანულს იწვევს, რომ მათ შორის აღმოჩნდნენ სარძეო მეცხოველეობის მხრივ ისეთი ინტენსიურად განვითარებული რაიონები, როგორიცაა გორის, გურჯაანის, წითელწყაროს, მცხეთის, ხელვაჩაურის, ქობულეთისა და სხვა რაიონები, ქალაქ გაგრის ზონა.

დარგის ეფექტიანობის ერთ-ერთი ხარისხობრივი მაჩვენებელი, როგორც ცნობილია, არის ძროხის საშუალო წველადობა. თუმცა მთლიანად რესპუბლიკაში ერთ ძროხაზე იანვარ-თებერვალში მიღებულია ერთი კილოგრამით მეტი რძე. მაგრამ მთელმა რიგმა რაიონებმა, ასეთი კი 32 რაიონია — შეამცირეს საშუალო წველადობა. აღნიშნული ფაქტის გარდა განსაკუთრებით შესაძრწოვად შემცირდა პროდუქტიულობა ქარელის, ახმეტის, ყვარლის, ზნაურის, სამტრედიის, წულუკიძის, ორჯონიკიძის, გეგეჭკორის, გულრიფშის, გალის რაიონებში, ქალაქების წყალტუბოსა და ტყიბულის ზონებში.

ძროხის პროდუქტიულობისა და რძის წარმოების შემცირებამ განაპირობა შარშანდელთან შედარებით რძის შესყიდვის მოცულობის შემცირებაც და ბევრ რაიონში კვარტალური გეგმის შესრულების დაბალი პროცენტიც.

მაგრამ იმ მეურნეობებში, სადაც დროულად მოემზადნენ გამოზამთრებისათვის, ძროხები უზრუნველყეს მრავალფეროვანი სრულფასოვანი საკვებით, რაციონალურად გეგმავენ კვებას, ფერმებს იცავენ ინფექციის შემოტანისაგან, წლის კარგი სტარტი აიღეს, მტკიცედ ზრდიან ძვირფასი საკვები პროდუქტისა და მრეწველობის ნედლეულის წარმოებას. ასეთ რაიონებს, უწინარეს ყოვლისა, განეკუთვნებიან ასპინძის, ხაშურის, ზესტაფონის, ონის, ამბროლაურის, ლენტეხის, ხობის, ჩოხატაურის რაიონები, ქალაქ ჭიათურის ზონა.

სასიხარულოა, რომ ადგილებზე მეტ ყურადღებას უთმობენ რძის ხარისხს, რის შედეგად პირველ ხარისხად ჩაბარებულია მეტი რძე, ვიდრე გასული წლის იანვარ-თებერვალში. მაგრამ ახალქალაქის, კასპის, ყვარლის, მცხეთის, გეგეჭკორის, მახარაძის რაიონებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შეანელეს შუშაობა რძის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, რის გამოც მეურნეობებს საგრძნობი ზარალი მოსდით.

გამოზამთრება საცაა დამთავრდება. დგება პირუტყვის საძოვრულ შენახვაზე გადაყვანისათვის მზადების პერიოდი. ბევრ მეურნეობაში მიმდინარეობს ძროხების მასობრივი კვება. ახლა განსაკუთრებით საჭიროა ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა არ დავუშვათ წველადობის შემცირება — ამაზე დამოკიდებულია არა მარტო მეცხოველეობა შუშაობის შედეგები პირველ კვარტალში, არამედ მთლიანად ხუთწლედის მესამე წლის გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებაც. (საქინფორმი).

რძის წარმოება და დამზადება 1978 წლის 1 მარტისათვის

	მთლიანი წველადობა ძროხაზე (% 1977 წლთან)	საშუალო ღილია შედარება (+ 1977 წლთან)	სახელმწიფოს მიეყიდა: კვარტალური გეგმის შესრულების %	1977 წლთან შედარებით %	1978 წ.	1977 წ.	პირველ ხარისხად პროცენტით: 1978 წ.	1977 წ.
ახალქალაქის	103	+ 2	53	99,3	25,6	32,4		
ბოგდანოვკის	106	+17	58	106,5	59,6	30		
ახალციხის	105	+ 7	47	100,0	88,3	88,3		
ადიგენის	100	— 1	50	100	77,3	57,5		
ასპინძის	128	+17	35	141,3	90,9	71,8		
ბაშურის	114	+19	61	104,7	83,5	78,6		
ქარელის	100	— 9	58	112,9	59,7	48,4		
გორის	93	—27	50	95,9	76,5	57,1		
კასპის	111	+11	58	108,4	59	92,9		
ბორჯომის	102	—	49	100,3	99,3	98,3		
სამტრედიის	102	+ 2	51	100,7	20,7	22		
გურჯაანის	91	—25	48	87,5	92,6	74,7		
სიღნაღის	95	— 9	59	100,1	59,4	69		
წითელწყაროს	92	—17	58	94,4	53	46,7		
თელავის	100	+ 8	61	101,6	63,2	68,1		
ახმეტის	85	—49	48	78,6	49,2	49,4		
ყვარლის	89	—25	47	90,6	37,6	72,7		
ლაგოდეხის	110	+17	64	107,5	79,4	41,9		
გარდაბნის	110	+ 9	54	99,2	39,3	73		
მცხეთის	91	—24	52	87,9	57,2	97,9		
მარნეულის	104	+15	59	109,3	43,2	53,5		
ბოლნისის	107	— 5	60	103,9	55,6	40,6		
წალკის	109	+13	58	109,2	83,1	69		
დუშეთის	105	+ 4	59	104,6	64,7	65		
თეთრიწყაროს	102	+ 3	58	100	36,1	52,8		
დმანისის	108	+16	53	103,4	23,3	38,3		
თიანეთის	95	— 5	53	99,1	81	70,6		
სამხრეთ ოსეთის ა/ო.	97	— 3	49	96	11,5	33		
ქ. წყალტუბოს	89	—12	64	103,6	96,9	66,6		
სამტრედიის	96	—15	54	92,6	95,6	86,1		
წულუკიძის	92	—16	48	86,9	96,9	95,1		
ვანის	100	+ 2	61	101,7	76	88,9		
მაიაკოვსკის	88	—11	55	86,6	68,3	96,3		
ზესტაფონის	105	+ 4	67	108,9	71,8	53		
თერჯოლის	100	—	59	98	98,7	92,2		
ქ. ჭიათურის	106	+ 5	64	105,9	89,1	85,5		
საჩხერის	102	— 2	65	95,8	89,3	85,8		
ორჯონიკიძის	96	—16	54	96,0	—	—		
ქ. ტყიბულის	82	—42	75	108,1	100	—		
ონის	116	+13	69	142,8	50	53,1		
ამბროლაურის	113	+12	63	119,6	70,9	18,2		
ცაგერის	93	+ 9	53	74,2	—	—		
ლენტეხის	175	+40	94	111,8	—	—		
აბაშის	102	+ 8	55	102,6	82,3	84,5		
ცხაკაიას	98	— 4	56	103,3	98,7	71,4		
გეგეჭკორის	83	—22	52	83,3	75,3	95,4		
ზუგდიდის	107	— 6	66	108,8	78,4	73,5		
ხობის	132	+54	73	150,2	70	69		
წალენჯიხის	101	+ 4	49	87,2	68,3	64,4		
ჩხოროწყუს	105	+ 6	63	102,6	65,5	81		
მახარაძის	100	—19	63	100,2	76,4	96,2		
ლანჩხუთის	100	— 2	42	85,4	90,6	90,7		
ჩოხატაურის	130	+45	69	106,3	96	96,3		
მესტიის	125	+22	53	91,4	—	—		
აფხაზეთის ასსრ	90	—20	50	87,9	90,4	93		
აჭარის ასსრ	99	— 4	58	95,4	80	63,3		
ს უ ლ	100,7	+ 1	56	99,5	62,1	61		

ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ

მართლმსაჯულების კონსტიტუციური პრინციპები

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მეშვიდე კარის მეოცე თავში მოცემულია სოციალისტური მართლმსაჯულების განხორციელების დემოკრატიული პრინციპები. ეს პრინციპებია: მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლო ორგანოების მიერ, ყველა სასამართლო ორგანოს შექმნა-ლიკვიდაციებისა და ადამიანთა ნებადართვის საწყისებზე, საქმეთა განხილვის კოლეგიურობა, მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა თანასწორუფლებიანობა და სხვ.

სასამართლოს გარდა ჩვენში არც ერთ სხვა ორგანოს არა აქვს უფლება განახორციელოს მართლმსაჯულება, განსახილველად და გადასაწყვეტად დაიქვემდებაროს სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმე, გამოიტანოს განაჩენი ან გადაწყვეტილება.

სოციალისტური მართლმსაჯულება იურიდიულ ლიტერატურაში განმარტებულია როგორც სახელმწიფო საქმიანობის განსაკუთრებული სახე, რომლის საკვანძო ამოცანაა არა მარტო საბჭოთა კანონების განუხრელი შესრულების უზრუნველყოფა და მართლწესრიგის დაცვა ყოველგვარი ხელყოფისაგან, არამედ, საერთოდ, მართლწესრიგის ყოველგვარი დარღვევის აღმოფხვრა და, უპირველეს ყოვლისა, დანაშაულის, როგორც კანონიერების დარღვევის ყველაზე საშიში ფორმის აღკვეთა.

ქვეყნის ძირითადი კანონი დიდ ყურადღებას იჩენს სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტისადმი, რაც იმით დასტურდება, რომ 155-ე მუხლის მიხედვით „მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები ექემორჩილებიან მხოლოდ კანონს“.

კონსტიტუციაში აღიარებულია, რომ სსრ კავშირში ყველა სასამართლო იქმნება მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევითობის საწყისებზე. საბჭოთა სასამართლო სისტემის ძირითადი რგოლის რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებს მოქალაქეები ირჩევენ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით ხუთი წლის ვადით. სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს ირჩევენ მოქალაქეთა კრებებზე მათს სამუშაო ან საცხოვრებელ ადგილს, ორი კენჭისყრით, ოთხნაგარი წლის ვადით. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რესპუბლიკის სახალხო სასამართლოებში არჩეულია 11.760 სახალხო მსაჯული.

ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ზემდგომ სასამართლოებს ირჩევენ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოები ხუთი წლის ვადით. საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ გასული წლის 29 დეკემბერს აირჩია რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ახალი შემადგენლობა — თავმჯდომარე, სამი მოადგილე, 35 წევრი და 500 სახალხო მსაჯული.

ახალმა კონსტიტუციამ საკანონმდებლო წესით აღიარა (განსხვავებით 1936 წლის კონსტიტუციისაგან) მართლმსაჯულების განხორციელების ისეთი დემოკრატიული პრინციპი, როგორიც არის მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა პასუხისმგებლობა ანგარიშვალდებულება ამომრჩევლებისა და ამრჩევი ორგანოების წინაშე.

ახალი კონსტიტუცია აღიარებს მართლმსაჯულების განხორციელების ისეთ დემოკრატიულ პრინციპს, როგორიც არის სასამართლო განხილვის საჯაროობა. საქმის გარჩევა ყველა საბჭოთა სასამართლოში ღიაა. კონსტიტუცია უშვებს გამონაკლისს, როცა სასამართლოს დახურულ სხდომაზე საქმის მოსმენა დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში. განაჩენი დახურული სასამართლო განხილვის ყველა შემთხვევაში ქვეყნდება საჯაროდ. საქმის ღიად, საჯაროდ განხილვა სასამართლოს აკავშირებს მოსახლეობის ფართო ფენებთან, იგი უდიდეს ზემოქმედებას ახდენს მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაზე.

უკანასკნელ ხანებში ჩვენი რესპუბლიკის სასამართლო ორგანები უფრო მეტად აწყობენ გამსვლელ სასამართლო, საჯარო სხდომებს. ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამართული გამსვლელი საჯარო სხდომები, რომლებზეც განიხილეს განსაკუთრებით სამოქ. მიმე დანაშაულობათა საქმეები. ასეთი გამსვლელი სხდომების მოწყობას, სასამართლო პროცესების მიახლოებას მოსახლეობასთან უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს და მეტად ეფექტიანი ღონისძიებაა.

ახალი კონსტიტუციის 156-ე მუხლის შესაბამისად, „სსრ კავშირში მართლმსაჯულება ხორციელდება კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე“. ეს პრინციპი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვრთაგანია, რომელიც 60 წელია განუხრელად ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში.

დღეს ყოველმა საბჭოთა მოქალაქემ კარგად უნდა იცოდეს, რომ საბჭოთა სასამართლოში რაიმე უპირატესობით სარგებლობა დამორცხულია. კანონის დარღვევის შემთხვევაში ყველა მოქალაქე აგებს პასუხს მიუხედავად თანამდებობისა, განათლებისა, ეროვნული ნიშნისა, ქონებრივი მდგომარეობისა და ა. შ. ამ პრინციპის რეალობას ადასტურებს ჩვენი რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების პრაქტიკა. როცა მართლმსაჯულების ორგანოებმა კანონის მთელი სისასტიკით დასაჯეს ზოგიერთი თანამდებობის პირი, რომლებიც არცთუ დიდი ხნის წინ უხეშად და ბოროტად იყენებდნენ თანამდებობრივ მდგომარეობას, ხულიგნობდნენ, იტაცებდნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ქონებას, იღებდნენ ქრთამს.

ამასთან კონსტიტუცია უზრუნველყოფს ბრალდებულის დაცვის უფლებას, რაც მართლმსაჯულების განხორციელების დემოკრატიული პრინციპია.

სსრ კავშირის კონსტიტუცია ითვალისწინებს მართლმსაჯულების განხორციელების ისეთ ერთ-ერთ მნიშვნელოვან, დემოკრატიულ პრინციპს, როგორიც არის მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა დამოუკიდებლობა. და მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება.

კონსტიტუცია, საკავშირო და რესპუბლიკური კანონმდებლობა კატეგორიულად მოითხოვენ ამ პრინციპის ზუსტ და მკაცრ დაცვას. მოსამართლენი და სახალხო მსაჯულნი სამოქალაქო სამართლის და სისხლის სამართლის საქმეებს წყვეტენ კანონის საფუძველზე, სოციალისტური მართლშეგნების შესაბამისად, იმ პირობებში, რომლებიც გამორიცხავს გარეშე ზემოქმედებას მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებზე.

საბჭოთა სასამართლოების მიერ მატერიალური და საპროცესო ნორმების განუხრელი და ზუსტი დაცვა საბჭოთა სოციალისტური მართლმსაჯულების განხორციელების ერთადერთი საშუალება და აუცილებელი პირობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ ბოლოდროინდელმა ქმედითმა და გადაჭრილმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად განამტკიცა რესპუბლიკაში კანონიერება, რამაც ორსებითად შეუწყო ხელი მართლმსაჯულების განხორციელების დროს მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა დამოუკიდებლობისა და მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილების პრინციპის რეალურ განხორციელებას.

კონსტიტუციის 159-ე მუხლი ამკვიდრებს სამართალწარმოების შემდგომ დემოკრატიზაციას. მოქალაქეთა უფლებების მნიშვნელოვან გაფართოებას სასამართლო პროცესში. ამ მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს არა მარტო მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის ენაზე, როგორც ეს დაკანონებული იყო 1936 წლის კონსტიტუციის 110-ე მუხლით, არამედ აგრეთვე ავტონომიური ოკრუგის ენაზე, ან მოცემული ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე. ამასთან ერთად, შენარჩუნებულია ის დებულება, რომ თუ საქმის მონაწილე პირებმა არ იციან მიმდინარე სამართალწარმოების ენა მათთვის უზრუნველყოფილია თარჯიმნის მეშვეობით საქმის მასალების სრული გაცნობის, აგრეთვე სასამართლოში დედაენაზე გამოსვლის უფლება.

პირველად კაცობრიობის ისტორიაში მხოლოდ ხალბჭოთა სახელმწიფოში განხორციელდა მარქსიზმ-ლენინი

საბჭოთა კავშირ—ჩინეთის ურთიერთობის გამო

საბჭოთა მთავრობა, რომელიც ლენინურ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას ადგას, მუდამ პრინციპულად ეკიდებოდა და ეკიდება სსრ კავშირისა და ჩინეთის ურთიერთობის საკითხს, რაც ამ ურთიერთობის მოწესრიგებისადმი გულწრფელი მისწრაფებით არის ნაკარნახევი.

როგორც ცნობილია, სკკპ XXIV და XXV კრებლობებმა დადასტურა პრინციპები, რომელთა საფუძველზე შეიძლებოდა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის ნორმალიზაცია და ორივე ქვეყნის ხალხთა ძირეული ინტერესების საკეთილდღეოდ მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის გაუმჯობესება. ამ პრინციპებს თანამიმდევრულად განამტკიცებდა საბჭოთა კავშირის კონკრეტული და რეალისტური ინიციატივები. ასეთ ინიციატივათა რიცხვს განეკუთვნება მთელი რიგი კონსტრუქციული წინადადებანი, კერძოდ, პალის გამოუყენებლობის ხელშეკრულების (1971 წელი), ოკეანეთუსნელობის ხელშეკრულების დადების (1973 წელი), ორი მხარის წარმომადგენელთა უმაღლესი დონის შეხვედრის მოწყობის, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის, მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის, ჯანმრთელობის დაცვის დარგში თანამშრომლობის განახლების თაობაზე, აგრეთვე წინადადებანი საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხაზით და სხვ.

ეს ინიციატივები, რომლებიც ახასიათებდა ერთადერთ მიზანს — კეთილმეზობლობის გზით სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობის წარმართვას, ან უარყო ჩინეთის მხარემ, ანდა უპასუხოდ დატოვა. მიუხედავად ამისა სსრ კავშირმა, რომელსაც მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის ისტორიული პასუხისმგებლობისა და საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის ნორმალიზაციაზე ზრუნვის გრძნობა ამოძრავებს, გადაწყვიტა გადადგა ახალი კეთილი ნაბიჯი.

1978 წლის 24 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესიის წინ მის მიმდინარე კომიტეტს გაუგზავნა მიმართვა.

მიმართვაში ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის ბოლო წლებში ისეთი ხასიათი მიეცა, რომელიც არ შეიძლება სერიოზულ შეშფოთებას არ იწვევდეს. არსებული ძველმარეობა ქმნის ერთმანეთისადმი უნდობლობის ატმოსფეროს, აძლიერებს დაძაბულობას სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში. საბჭოთა ხალხისა და ჩინელი ხალხის ძირეული ინტერესები მოითხოვს განხორციელდეს გარკვეული პრაქტიკული ღონისძიებანი საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა მისწრაფებებისა და იმედების შესაბამისად საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის.

საბჭოთა მთავრობას არაერთგზის წამოუყენებია კონკრეტული წინადადებანი ამისათვის, რომ კეთილმეზობლობის რელსებზე დაებრუნებინა სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობის წარმართვას. ან უარყო ჩინეთის მხარემ, ანდა უპასუხოდ დატოვა. მიუხედავად ამისა სსრ კავშირმა, რომელსაც მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის ისტორიული პასუხისმგებლობისა და საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის ნორმალიზაციაზე ზრუნვის გრძნობა ამოძრავებს, გადაწყვიტა გადადგა ახალი კეთილი ნაბიჯი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინადადებაში, რომელიც საბჭოთა ხალხის ნებასა და მისწრაფებებს გამოხატავს, ერთხელ კიდევ აცხადებს, რომ მზად არის ბოლო მოეღოს სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობაში შექმნილ ანალოგიურ არანორმალურ მდგომარეობას, შეაჩეროს ურთიერთობის შემდგომი გამწვავების საშიში პროცესი. რომელსაც სერიოზული უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ჩვენი ქვეყნებისა და ხალხებისათვის, ახლო აღმოსავლეთის, აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის ბედისათვის. ორივე მხარის მიერ გამოთქმული იმ სურვილის განსახორციელებლად, რომ თავიანთ ურთიერთობაში ეყრნობოდნენ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს და განამტკიცონ იგი მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინადადებაა, ჩვენმა ქვეყნებმა ერთობლივი განცხადება გააკეთონ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობის პრინციპების თაობაზე. როგორც საბჭოთა კავშირში მიაჩნიათ, ერთობლივი განცხადება იმის შესახებ, რომ თუ მხარეები თავიანთ ურთიერთობას ააგებენ მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძველზე და ამასთან მტკიცედ დაიცავენ თანასწორუფლებიანობის, ერთმანეთის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის, ერთმანეთის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და ერთმანეთის წინააღმდეგ ძალის გამოუყენებლობის პრინციპებს, წინ წასწევდა ჩვენი ურთიერთობის ნორმალიზაციის საქმეს.

ჩვენ ვთავაზობთ, თუ თვით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მმართველს, რათა დაწყებულიყო კონსტრუქციული დიალოგი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ძირეული გაუმჯობესების მიზნით. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ მოხდა, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების უკანასკნელი სესია ცხადყოფს, რომ საბჭოთა კავშირისადმი მტრობა აქ კვლავ ჩინეთის სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვავდა.

ჩინეთის ხელისუფალთა პოზიცია ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ მათ სიტყვა აშკარად ეწინააღმდეგება საქმეს, მათი განცხადებანი თავიანთ მეზობელთან ურთიერთობის გაუმჯობესებასა და სერვილის შესახებ განმტკიცებული არ არის პრაქტიკული მოქმედებით. ყველაფრიდან ჩანს, რომ ზოგ ვინმეს ჩინეთში უფრო აძლევს ხელს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობაში არსებული დაძაბულობა და ანტისაბჭოურობის ხელოვნური გაღვივება, ვიდრე საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის ნორმალიზაცია.

რაც შეეხება საბჭოთა ხელმძღვანელობას, იგი ამ მტკიცე შეხედულებას ადგას, რომ სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობაში არ არის ისეთი საკითხები, რომელთა გადაწყვეტა არ შეძლებოდეს კეთილმეზობლობის სულისკვეთებით. საბჭოთა მხარე, რომელიც კვლავ ნებას იჩენს, კეთილად ამ მიმართულებით იმოქმედებს. რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირი არ შეიძლება მხედველობაში არ იღებდნენ სსრ კავშირისადმი პეკინის ახლანდელ მტრობას. მაგრამ საბჭოთა ხალხი იმედს არ კარგავს, რომ დროთა განმავლობაში იღებენ სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თანამშრომლობა და საბჭოთა და ჩინელი ხალხების საკეთილდღეოდ და მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებისათვის. საქმე იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა პოზიციას დაიდგამს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. (საკდესი).

მოკლედ

ყოველი ესრიდან

ტოკიო

იაპონიის პოლიციელებმა დაარბიეს გარემოს გაპუპყიანების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს შენობასთან ქალაქ მინამატის მცხოვრებთა ჯგუფის მჯდომარე დემონსტრაციის მონაწილენი. სამრეწველო ნარჩენებით მოწამლის შედეგად „მინამატის დაავადების“ მსხვერპლნი მთავრობისაგან მოითხოვენ დაეხმაროს დავადებულთ, რაც მეწარმეთა დანაშაულებრივ მოქმედებას მოჰყვა. ისინი აგრეთვე იბრძვიან იმისათვის, რომ დაწესდეს მკაცრი კონტროლი ქიმიური კონცერნების საქმიანობისადმი, რომლებიც მოგების გულისათვის უარს ამბობენ განახორციელონ ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებანი, ხელისუფალთა ბრძანებით პოლიციამ დემონსტრაციის მონაწილენი სამმართველოს შენობიდან ქუჩაში გაუყარა.

ლონდონი

ბერძენირის საგარეოს მცხოვრებთა დელეგაცია პარლამენტარებს მ. მაკნიერ-უილსონისა და დ. მიტჩელის მეთაურობით შეხვდა ინგლისის თავდაცვის მინისტრს ფ. მალის და მოსთხოვა ხელი აიღოს გრინვემ-კომონის სამხედრო-საჰაერო ბაზის პენტაგონის განკარგულებაში გადაცემის გეგმებზე.

საგარეოს მოსახლეობა და, კერძოდ, ქალაქ ნიუბერის მცხოვრებნი, რომლის მიდამოებში მდებარეობს აეროდრომი, რამდენიმე თვეა ეწევიან ბრძოლას მთავრობის იმ განზრახვის წინააღმდეგ, რომ შეიქმნას ამერიკის კიდევ ერთი სამხედრო ბაზა ქვეყნის ტერიტორიაზე. საპროტესტო კამპანიის ორგანიზატორებმა 16 ათასზე მეტი ხელმოწერა მოაგროვეს პეტიციაზე, რომელიც გმობს ინგლისის სამხედრო უწყების გეგმებს.

ქრონიკა

მთავარი ამოცანა

ლუანდა, 18 მარტი (საკდესი). განვავითარით და განვამტკიცოთ ურთიერთობა საერთაშორისო მუშათა მოძრაობასთან და მარქსისტულ-ლენინურ პარტიებთან — ასეთია მთავარი ამოცანა საერთაშორისო ურთიერთობის დარგში, რომელიც მპლა-შრომის პარტიამ დაისახა პარტიის I ყრილობაზე მიღებულ პროგრამაში.

სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის განმტკიცება, ნათქვამია ამ დოკუმენტში, პარტიის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იქნება.

არის რა ინტერნაციონალისტური პარტია, აღნიშნულია პროგრამაში, მპლა-შრომის პარტია აქტიურად უჭერს მხარს აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, მათ ბრძოლას იმპერიალიზმის, კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ.

პროგრამაში ნათქვამია, რომ შრომის პარტია მზად არის ანგარეთაროს ურთიერთობა მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან მათი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მიუხედავად, სუვერენიტეტის, ეროვნული დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, უარი თქვას აგრესიასა და საშინაო საქმეებში ჩარევაზე, ხელი შეუწყოს თანასწორობას და მშვიდობიან თანაარსებობას.

პროგრამა აცხადებს, აგრეთვე, რომ მპლა-შრომის პარტია ისწრაფვის ხელი შეუწყოს მარქსისტულ-ლენინური პარტიების შეკავშირებას და მათი ერთიანობის განმტკიცებას.

მოკლედ

ყოველი ესრიდან

ალჟირი

ალჟირის ახალგაზრდობამ აღნიშნა „ვოლონტარიატის“ — სოფლის მეურნეობისათვის დახმარების გაწევაში სტუდენტი და მუშა-ახალგაზრდობის ნებაყოფლობითი მონაწილეობის მოძრაობის შექმნის მეხუთე წლისთავი. წელიწადში ორჯერ სტუდენტთა და მუშა ახალგაზრდობის რაზმები მიდიან სოფელში. ახინი არემონტებენ ტექნიკას, გლეხებს განუმარტავენ ქვეყანაში მიმდინარე აგრარული რეფორმის პრინციპებს, მონაწილეობენ მინდვრის სამუშაოებში. მარტო წლევანდელი ზამთრის კამპანიაში მონაწილეობდა 9 ათასზე მეტი ალჟირელი ქალიშვილი და ჭაბუკი.

ნიუ-იორკი

დედამინის მოსახლეობის რიცხვმა 1976 წლის შუა ხანებში შეადგინა 4 მილიარდ 44 მილიონი კაცი. 1975 წლის შუა ხანებთან შედარებით პლანეტაზე ადამიანთა რიცხვი 77 მილიონით გაიზარდა.

საერთაშორისო ცხოვრება

ელავლია დღეს ● ელავლია დღეს ● ელავლია დღეს

● აკდესი იტყობინება

ბრწყინვალე გამარჯვება

მსოფლიოს პრესა, სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტები მაღალ შეფასებას აძლევენ საბჭოთა ქვეყნის ახალ კოსმოსურ ბრიუმფს.

კოსმონავტების ი. რომანენკოსა და გ. გრეჩკოს დედამიწაზე მშვიდობიანი დაშვებით დამთავრდა კოსმონავტიკის ისტორიაში ყველაზე სახელოვანი და შესანიშნავი ეპოქა, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდეს ტრიუმფს, მოძმე ხალხებისა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების თანამშრომლობის, მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის უდიდეს შესაძლებლობათა დემონსტრაციას, წერს ბრატისლავის „პრავდა“.

საერთაშორისო ეკიპაჟის მონაწილეობით ფრენის ვრცელი პროგრამის წარმატებით დამთავრებამ დაადასტურა საბჭოთა კოსმოსური ტექნიკის და დედამიწის ყველა იმ ობიექტის განსაკუთრებთ მაღალი დონე, რომლებიც ფრენის მართავენ, რამაც შესაძლებელი გახადა სამი თვის განმავლობაში განუხორციელებინათ კოსმოსური ხომალდების ოთხი შეპირაპირება „სალიუტ-6“ ორბიტულ სადგურთან, წარმატებით ჩაეტარებინათ შესანიშნავი ექსპერიმენტები — სათბობისა და სხვადასხვა ტვირთის მიტანა, რომლებიც საჭიროა სადგურის ცხოველმოქმედების განგრძობისათვის, და დაედასტურებინათ სხვადასხვა ქვეყნის კოსმონავტების შეხვედრის, ბომბადებისა და ერთობლივ კოსმოსურ ფრენაში გაშვების საბჭოთა მეთოდიკის დიდი ეფექტიანობა.

ი. რომანენკოსა და გ. გრეჩკოს კოსმოსური ექსპედიცია, წერს ბულგარული „**რაბოჩნიჩესკო დელო**“, — კაცობრიობის მიერ სამყაროს შტურმის ნამდვილი მწვეროვალია. იგი გახდა საბჭოთა კოსმონავტიკის განუწყვეტელი ალმაფავი განვითარების ახალი დამაჯერებელი დადასტურება.

ამერიკის პრესა მაღალ შეფასებას აძლევს დამთავრებული კოსმოსური ექსპერიმენტის შედეგებს. „ორი საბჭოთა კოსმონავტი წარმატებით დაბრუნდა დედამიწაზე კოსმოსში ადამიანის ყველაზე ხანგრძლივი ფრენის შემდეგ“, — წერს გაზეთი „**ნიუ-იორკ ტაიმსი**“. მისი ენერგიული ამოცანა ის იყო, რომ გამოერკვია, რამდენად კარგად იტანენ ადამიანები კოსმოსში ხანგრძლივ ყოფნას. ეს საჭიროა უახლოეს პლანეტებზე ყოველგვარი გაფრენისათვის, რადგან ასეთი მოგზაურობა მრავალ თვეს გაგრძელდება. კოსმოსში სამი თვის ყოფნისას ი. რომანენკომ ერთ სოფელში კამპუჩიის ჯარისკაცებმა დახოცეს 100-ზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები, დაწვეს 120 სახლი.

ეს სამხედრო აქცია, ნათქვამია ცნობაში, გაგრძელებაა ვიეტნამის საზღვრის დარღვევათა მთელი სერიისა და წარმოადგენს ახალ ბარბაროსულ დანაშაულს, რომელიც კამპუჩიის შეიარაღებულმა ძალებმა ჩაიდინეს ვიეტნამელ ხალხის წინააღმდეგ.

ვიეტნამელი ხალხი „გადაჭრით გმობს კამპუჩიის შეიარაღებული ძალების ბარბაროსულ მოქმედებას, ხაზგასმულია ცნობაში, კამპუჩიის ხელისუფლებს სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათ დანაშაულებრივი სამხედრო ავანტიურების შედეგებისათვის.

თურქეთი

ორივე მხარის ინტერესებისათვის

ანკარა, 18 მარტი (საკდესი). „თურქეთის მთავრობა ისწრაფვის გააღრმაოს მრავალმხრივი ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, მათ შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა“, — გვანცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში თურქეთის ვაჭრობის მინისტრმა ტ. კეპრიულიულერმა. გვკერა, რომ ისეთი მძლავრი მრეწველობის სახელმწიფოსთან ურთიერთობა, როგორიც სსრ კავშირია, ეფექტიანად შეუწყობს ხელს თურქეთის ეკონომიკის განვითარებას, თქვა მინისტრმა.

ტ. კეპრიულიულერმა კმაყოფილებით აღნიშნა ის ფაქტი, რომ ორ ქვეყანას შორის წლითიწლობით იზრდება საქონელბრუნვა. გულწრფელად გვსურს, რომ ჩვენი ქვეყნების ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა სულ უფრო გაიზარდოს და რაც შეძლება ფართო მასშტაბები მიიღოს, აღნიშნა მან.

ჰაიტი

ხალხის გულისწყრომა

სან-ხოსე, 20 მარტი, (საკდესი). ჰაიტში ფართოვდება მშრომელთა მოძრაობა თავიანთი უფლებებისა და დემოკრატიისათვის, იზრდება ხალხის გულისწყრომა „უცვლელი პრეზიდენტის“ ჟან-კლოდ დიუვალიეს დიქტატურის წინააღმდეგ. პორტ-პრენსი დ ა ნ აქ მიღებული ცნობების თანახმად, პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის გაფიცვა მოეწყო ქვეყანაში მოკალთებული ამერიკის „რეინოლდს მეინინგის“ კომპანიის ქარხნებში. შეჭრის ქარხნების მუშათა მრავალათასიანი მანიფესტაცია გამართა დედაქალაქის ეროვნული სასახლის წინ. მისმა მონაწილეებმა მოითხოვეს პროფკავშირული საქმიანობის თავისუფლება, გადამჭრელი ღონისძიებების განხორციელება მონოპოლიების წინააღმდეგ, რომლებიც ქვეყანას ძარცვავენ. მაგრამ სიდუმლო პოლიციის ავბედიანების — „ავაზუების“ დამსჯელი რაზმები სასტიკად გაუსწორდნენ მანიფესტაციის მონაწილეებს.

დაარღვიეს საზღვარი

ჰანოი, 20 მარტი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, კამპუჩიის ჯარების ორმა ბატალიონმა გადალახა ვიეტნამის სახელმწიფო და იერიში მიიტანა შონგბეს პროვინციის რამდენიმე სოფელსა და თემზე, რომლებიც ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობენ. მარტო

მოკლედ

ყოველი ესრიდან

ალჟირი

ალჟირის ახალგაზრდობამ აღნიშნა „ვოლონტარიატის“ — სოფლის მეურნეობისათვის დახმარების გაწევაში სტუდენტი და მუშა-ახალგაზრდობის ნებაყოფლობითი მონაწილეობის მოძრაობის შექმნის მეხუთე წლისთავი. წელიწადში ორჯერ სტუდენტთა და მუშა ახალგაზრდობის რაზმები მიდიან სოფელში. ახინი არემონტებენ ტექნიკას, გლეხებს განუმარტავენ ქვეყანაში მიმდინარე აგრარული რეფორმის პრინციპებს, მონაწილეობენ მინდვრის სამუშაოებში. მარტო წლევანდელი ზამთრის კამპანიაში მონაწილეობდა 9 ათასზე მეტი ალჟირელი ქალიშვილი და ჭაბუკი.

ნიუ-იორკი

დედამიწის მოსახლეობის რიცხვმა 1976 წლის შუა ხანებში შეადგინა 4 მილიარდ 44 მილიონი კაცი. 1975 წლის შუა ხანებთან შედარებით პლანეტაზე ადამიანთა რიცხვი 77 მილიონით გაიზარდა.

საფრანგეთი

პარლამენტის არჩევნების შედეგები

პარიზი, 20 მარტი, (საკდესი). გუშინ საფრანგეთში გაიმართა პარლამენტის ვადიანი პალატის — ეროვნული კრების არჩევნების მეორე ტური (პირველი ტური ჩატარდა 12 მარტს). დღეს აქ გამოქვეყნებული საბოლოო ოფიციალური მონაცემების თანახმად, მმართველი კოალიციის პარტიებმა და პოლიტიკურმა დაჯგუფებებმა, რომელიც მათ ემხრობიან, შეძლეს შეენარჩუნებინათ ადგილების უმრავლესობა ეროვნულ კრებაში, სადაც მათ ეყოლებათ 291 დეპუტატი. აქედან ყველაზე მეტი მანდატი — 148 აქვს რესპუბლიკის მმართველმჭერ გოლისტურ გაერთიანებას (ეროვნული კრების უწინდელ შემადგენლობასთან შედარებით, რომელიც 1973 წელს აირჩიეს, ამ პარტიამ დაკარგა 36 ადგილი). საფრანგეთის დემოკრატიის კავშირს ეყოლება 137 დეპუტატი. დანარჩენი 6 ადგილი მიიღეს წვრილმა დაჯგუფებებმა.

წინ წაიწიეს მემარცხენე პარტიებმა. ახლა კომუნისტური და სოციალისტური პარტიები, მემარცხენე რადიკალთა მოძრაობა ერთად წარმოდგენილი იქნებიან 199 დეპუტატით. ამავე მონაცემებით, კომუნისტების საპარლამენტო ჯგუფს შეემატება 14 კაცი და ახლა ეყოლება 86 დეპუტატი. გაიზრდება აგრეთვე სოციალისტური პარტიის წარმომადგენლობა, მან მიიღო 103 ადგილი. მემარცხენე რადიკალებს აქვთ 10 მანდატი (ორითა ნაკლები, ვიდრე 1973 წელს).

ერთი ადგილი მიიღო ცენტრმემარცხენეთა დაჯგუფებების წარმომადგენელმა, რომლებმაც საერთოდ ორი ადგილი დაკარგეს უწინდელ არჩევნებთან შედარებით.

ეროვნულ კრებაში არჩეულთა შორის არიან — პრემიერ-მინისტრი რ. ბარი, რ. ბულენი, მ. დორნანო, მაგალი რიგი სხვა მინისტრები, თვალსაჩინო ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწეები ჟ. შირაკი, ჟ-პ. სუსტონი, ჟ. შაბან-დელმასი, კომუნისტური და სოციალისტური პარტიების ლიდერები ჟ. მარშე, ფ. მიტერანი. მეორე მხრივ, არჩევნებში დამარცხდნენ ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი მ. პონიატოვსკი, ჟ. სუსტელი და სხვები.

შეეხო რა არჩევნების შედეგებს, საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივანმა ჟ. მარშემ ხაზი გაუსვა, რომ 15 მილიონმა ამომრჩევლმა ხმა მისცა ხელისუფლების სათავეში მყოფი მემარჯვენე ძალების პოლიტიკის წინააღმდეგ. თუ ახლა ეროვნულ კრებაში მათ უმრავლესობა აყავთ, ეს უსამართლო საარჩევნო კანონის შედეგია. კომუნისტები, თქვა ჟ. მარშემ, კვლავაც დაიცავენ შრომელთა ინტერესებს, დაუცხრომლად იბრძოლებენ ყველა იმათი შეკავშირებისათვის, ვინც ცვლილებებს ისწრაფვის, რათა შექმნან პირობები დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელებისათვის.

ოფიციალური ამონაწერი

21 მარტი რასობრივი დისკრიმინაციის მოსპობისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღეა

კეიპტაუნში მდებარე აფრიკელთა დასახლება უნიბელში რასისტული ხელისუფლების ბრძანებით ასობით სახლი დაანგრიეს ბულდოზერებით. უსახლკაროდ დარჩა 15 ათასი ოჯახი. რასისტული ხელისუფლების მიერ შემუშავებული „შავი გეტოების“ მოსპობის გეგმა უმოწყალოდ ხორციელდება. ასეთი გეტოები მეიდრო რკალად აკრავს კეიპტაუნს. შარშან ავგუსტოში, მაგალითად, აღივავა პირისაგან მიწისა უერკჯენოტის და მოდერდამის დასახლებები. თავშესაფარი დაკარგა 20 ათასზე მეტმა აფრიკელმა.

ხელისუფლება ასეთ ბარბაროსობას ხალხის შიშით ხსნიდის. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მხსვილი სამრეწველო ცენტრების გარეუბნებში მოწყობილი აპარტეიდის წინააღმდეგ საპროტესტო მასობრივი გამოსვლებით დაშინებული თეთრკანიანი რასისტები ცდილობენ მოსპონ პროტესტის კერები და აფრიკელთა ძირითადი მასა რაც შეიძლება შორს გახიზნონ. როგორც წესი, მათ ათავსებენ რეზერვაციებში, სადაც ისინი უმუშევრობისა და ხალატაკის მსხვერპლი ხდებიან.

სურათზე: რასისტთა დანაშაულის მსხვერპლნი.

აპ-სპეციალური ფოტო

თანამშრომლობა

ბილოცავთ ჯილდოს, ახალგაზრდა შრომის გვარდიელებო!

ცნობილი გახდა წარმოების დარგში 1977 წლის ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატთა სახელები. განიხილა რა სამინისტროებისა და უწყებების მიერ სრულიად საკავშირო აღკავ ცენტრალური კომიტეტის ლენინური კომკავშირის პრემიების კომისიის მასალები, სრულიად საკავშირო აღკავ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო დადგენილება ეს მაღალი ჯილდო მიენიჭოს შრომის ახალგაზრდა გვარდიელთა, სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა დიდ ჯგუფს.

ლენინური კომკავშირის პრემია მიენიჭა ჩვენი რესპუბლიკის ოთხ წარმომადგენელსაც:

პორფილე კვირკელიაძეს—მახარაძის რაიონის გურიანთის ჩაის ფაბრიკის მენობელს, რომელსაც ეს ჯილდო მიენიჭა სოციალისტურ შეჯიბრებაში თვალსაჩინო მოღწევებისათვის, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებისა და ხარისხის ამაღლებისათვის, ტექნიკისა და მოწყობილობის ეფექტიანი გამოყენებისა საფუძველზე ნედლეულის დაზოგვის, იქტიური მეცნიერულ-ტექნიკური შემოქმედებისათვის;

ბეჟან ხვედელიძეს — საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ელექტრიკოსს, — ტვირთბოდვის ეფექტიანობის ამაღლებისათვის გამლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში თვალსაჩინო მიღწევებისათვის, შრომის მოწინავე ორგანიზაციის დანერგვის, ტექნიკის ხარისხოვანი მომსახურების, იქტიური მეცნიერულ-ტექნიკური შემოქმედებისათვის;

მურმან მირზაგატეს — ზუგდიდის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორს და **ეთერ წიკლაურს** — გორის რაიონის ძევერის საბჭოთა მეურნეობის მებაღეს — შრომაში თვალსაჩინო წარმატებებისათვის, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის სასუფეველზე მაღალი ხარისხის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მაქსიმალური წარმოებისათვის. (საქინფორმი).

ორ წელიწადში ისევ შევხვდებით

ჯაზური მუსიკის ფესტივალი დამთავრდა

დამთავრდა ჯაზური მუსიკის საკავშირო ფესტივალი „თბილისი-78“. ათი დღის მანძილზე ამ ჟანრის მოყვარულები ფილარმონიის დიდ და მცირე დარბაზებში ეცნობოდნენ 25 საუკეთესო საბჭოთა კოლექტივს. ფესტივალზე, რომელიც დიდი წარმატებით მიმდინარეობდა, გამოვლინდა საუკეთესო მუსიკალური კოლექტივები. ესენია საქართველოს ფილარმონიის ახლახანს შექმნილი ჯაზკლუბის ანსამბლი, რომელსაც საკავშირო ფესტივალების ლაურეატი თ. ყურაშვილი ხელმძღვანელობს, პიანისტისა და კომპოზიტორის ვ. კახიძის ანსამბლი, როსტოვის ხელოვნების სასწავლებლისა და ტალინის მუსიკოსთა კლუბის ორკესტრები და სხვ. ყველა ანსამბლს მიენიჭა „თბილისი-78“ ფესტივალის ლაურეატთა წოდება. საქართველოს ფილარმონიის პრიზი მიენიჭა ვილნიუსის თანამედროვე ინპროვიზაციული ჯაზის ტრიოს ვ. განელინის ხელმძღვანელობით. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის, შემოქმედებითი ახალგაზრდობის რესპუბლიკური ცენტრის, რესპუბლიკური გაზეთების, საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის, სხვა ორგანიზაციების პრიზები და აგრეთვე სამახსოვრო საჩუქრები გადაეცა ყველა ანსამბლს.

ფესტივალის სტუმრები იყვნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ცნობილი სპეციალისტები — ვარშავის ჯაზის ყოველწლიური ფესტივალის დირექტორი სტანისლავ ციეროვსკი, ჟურნალ „ჯაზ-ფორუმის“ მთავარი რედაქტორი პავლე ბროდოვსკი და ბოლონეთის ტელევიზიის მუსიკალურ გადაცემათა მთავარი რედაქტორი ანჯეი ვასილევსკი.

ფესტივალის დამთავრების შემდეგ საქინფორმის კორესპონდენტმა გ. ბაციაშვილმა რამდენიმე ინტერვიუ გამოაქვეყნა მის მონაწილეებს.

— ძალიან მომეწონა თბილისის საზოგადოება, რომელსაც კარგად ესმის და ღრმესულად აფასებს ჯაზური მუსიკის ნაწარმოებებს. უამისოდ ფესტივალს არ ექნებოდა ასეთი დიდი წარმატება, — თქვა ლენინგრადელმა მუსიკათმცოდნემ ვ. იურჩენკომ.

— ხანგრძლივობითა და მაყურებელთა რაოდენობით თბილისის ფესტივალი მსოფლიოში ყველაზე დიდი იყო, — თქვა ხ. ციეროვსკიმ — მსმენელები შეხვდნენ ნიჭიერ მუსიკოსებს. ვარშავის ფესტივალში მათი მონაწილეობა ძალზე საინტერესო იქნებოდა.

თბილისის ფესტივალი ტრადიციული გახდება და ორ წელიწადში ერთხელ ჩაიმართება.

პარტიის ღირსეული შვილი

ხ. ა. ხაცკევიჩის დაბადების მე-80 წლისთავის გამო

თბილისის კომუნარების სახელობის მაღაროში საქართველოს კომკავშირის დამაარსებლის ბორის ძნელაძის ძეგლის გვერდით 1933 წლის მაისში დაკრძალეს კომუნისტური პარტიის სახელოვანი შვილი ხარიტონ არონის ძე ხაცკევიჩი, რომელიც ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა.

ხ. ა. ხაცკევიჩი განეკუთვნებოდა დიდი ოქტომბრის რევოლუციის ცეცხლით შობილ და გამოწრთობილ თაობას. იგი დაიბადა ქალაქ ახალციხეში მუშის ოჯახში. მამა ადრე გარდაეცვალა და დედამ ძლივს მოახერხა შვილის საქალაქო სასწავლებელში გაწყესება. სწავლის პერიოდში ხარიტონი იძულებული გახდა შრომითი საქმიანობა დაეწყო.

ცნობისმოყვარე ყმაწვილი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ მას ქალაქ ალექსანდროპოლში (ამჟამად ჯ. ლენინაკანი) მოუსწრო. რევოლუციის პირველი დღეებიდანვე იგი მეთაურობდა მოსწავლე ახალგაზრდობის მოძრაობას, ყურადღებით სწავლობდა მარქსისტულ ლიტერატურას და ეწეოდა პროპაგანდისტულ მუშაობას გარნიზონის ჯარისკაცთა შორის, ხელმძღვანელობდა მოსწავლეთა საგაფიცო მოძრაობას.

ხ. ხაცკევიჩს თანდათანობით ჩამოუყალიბდა პოლიტიკური შეხედულებანი და იგი მდლიანად გადაეცა მუშათა მოძრაობის მხარეზე. დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ კიდევ უფრო განამტკიცა მასში კომუნისტური იდეალების რწმენა. იგი ეწეოდა აქტიურ პროპაგანდისტულ მუშაობას ჯარისკაცებს შორის, მოუწოდებდა მათ გადასულიყვნენ ბოლშევიკების მხარეზე, რის გამოც იგი დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან. 1919 წელს ხ. ხაცკევიჩი ხდება ახალგაზრდობის თბილისის ორგანიზაცია „სპარტაკის“ წევრი, შედის ბოლშევიკური პარტიის რიგებში. ამის შემდეგ იგი უფრო ენერგიულად გაანავრძობს ორგანიზატორულ და პროპაგანდისტულ მუშაობას რომორც კომკავშირის თბილისის კომიტეტის წევრი. ხ. ხაცკევიჩის საქმიანობა შუამხნეველი არ დარჩენია მენშევიკურ მთავრობას. 1920 წელს იგი დაიპატიმრეს ჩხრეკის დროს ბინაზე ნაპოვნი არალეგალური ლიტერატურის საბაბით და საქართველოს ფარულებიდან აზერბაიჯანში გადაასახლეს.

ხ. ხაცკევიჩი წითელი არმიის საშსახურში ჩაფდა. იგი მონაწილეობდა კონტრრევოლუციური გამოსვლების ჩახშობაში, ეწეოდა კომკავშირულ მუშაობას. შემდეგ მას ირჩევენ აზერბაიჯანის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრად.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ხ. ხაცკევიჩი თბილისში დაბრუნდა.

ხ. ხაცკევიჩი, როგორც ნიჭიერი, პოლიტიკურად მომზადებული და რევოლუციური ბრძოლის დიდი გამოცდილების მქონე, 1921 წლიდან კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზეა. იგი იყო საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ჯერ პროპაგანდის, შემდეგ საორგანიზაციო განყოფილების გამგე. სწავლის გასაგრძელებლად ხ. ხაცკევიჩი გაგზავნეს მოსკოვის კომუნისტურ აკადემიაში. 1931 წელს იგი მუშაობდა პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგის მოადგილედ. 1932 წლიდან იგი საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანია.

სხვადასხვა დროს ხ. ხაცკევიჩი იყო საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის საოლქო კომიტეტის წევრი, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი.

იგი იყო დიდად პრინციპული მუშაკი, ახასიათებდა პროლეტარი რევოლუციონერის საუკეთესო თვისებები. ახალგაზრდა თაობისათვის მისი ცხოვრება და მოღვაწეობა კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის მაგალითია.

ნ. ჩირაძე,
სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.
(საქინფორმი).

საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი



ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთ მსვილ საჩრეწველო რაიონში, ავჭალის გზატეხილზე ამაყად წამომართული ეს ახალი, ლამაზი ხუთსართულიანი ნაგებობა, დღეს ბევრი თბილისელათვის კარგად ნაცნობი და ახლობელია. ეს ცენტრალური საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი გახლავთ. აქაური მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომსახურეობით მომხმარებლები კმაყოფილი არიან.

მომსახურების ახალი ფორმა, რომელიც აქ არის დანერგილი პირველ რიგში მოქალაქეს უზოგავს დროს და, რაც მთავარია, იგი გარანტირებულია დაკვეთის დროული და მაღალხარისხოვანი შესრულებით.

ცენტრალური საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი ერთ-ერთი უდიდესი კაკშირში.

საყოფაცხოვრებო მომსახურების ცენტრალური სახლის რეკონსტრუქციის პროექტი შეადგინა საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სახელმწიფო საპროექტო ტექნოლოგიურმა ინსტიტუტმა. არქიტექტორები — ვ. დევრიხაშვილი და გ. ბარაბაძე. პროექტის მთავარი ინჟინერი — ბ. მეზვრიშვილი.
ფოტოზე: ცენტრალური საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლის ხედი.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

სოფლის სკოლას — საკავშირო დიპლომი

საჩხერე, 16 მარტი. (საქინფორმის კორ.). არგვეთის სამუალო სკოლა დაჯილდოვდა სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის დოსაავიაციო (ავენტრალური კომიტეტის დიპლომით მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდასა და სამხედრო-სპორტული თამაშის — „ორლეონოკის“ ორგანიზაციაში მოპოვებული შრომატებებისათვის.

სკოლის დირექციამ, პარტიულმა, კომკავშირულმა და პიონერულ-ავშირულმა ორგანიზაციებმა მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის დონისძიებათა დიდ ქმედითობას მიაღწიეს.

სკოლის მოსწავლეებმა გაკეთეს სტენდები „საბჭოთა ადამიანი თავისი ქვეყნის პატრიოტი, მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობისათვის მებრძოლია“, „დიდი სამამულო ომის გამოჩენილი მხედართმთავრები“, „საქართველოს შვილები — საბჭოთა კავშირის გმირები“. თვალსაჩინო ადგილს გამოფენილია სკოლის იმ კურსდამთავრებულთა სურათები, რომლებიც გმირულად დაიღუპნენ დიდი სამამულო ომის ფრონტებზე.

სკოლაში შექმნილია (ეურვის, ტანვარჯიშის, ავტომობილის ტარებისა და სხვა წრეები. ყოველ მეორე მოსწავლე მშო-ს ნიმნოსანია.

სიხარულის მაცნე

ტყიბული. (სკკ. კორ.). ყოველ დღე დალი კიკნაძე, ტყიბულ ხანთთან დატვირთული, კალინინის ქუჩის ძცხოვრებთა ოჯახის კარებს აღებს და თავისი მეზობლებისათვის ახალთახალი ყურნალ-გაზეთები და ნობათები ბიაქვს. ზოგს ჯარში წასული შვილის წერილით ახარებს, ზოგს საქორწინო მოსასწავეი ბარათით, ზოგს კიდეე სასიხარულო ლეპეშით.

დაუზარებელ ფოსტალიონს, სამი შვილის დედას ქუჩის ყველა მცხოვრები ეძალლიერება და პატივისცემით ეპყრობა. იგი კავშირგაბმულობის კვანძშიც ავტორიტეტთა და სიყვარულით სარგებლობს. ამიტომ იყო, რომ დალის ამას წინათ ამხანაგებმა გულთბილად მიულოცეს კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო წოდების მინიჭება.

...თაკარა სიცხე, გადამწვარი ბალახი, ქვიშა... ასე გამოიყურება შუა აზიის უდაბნო ყიზილყუმი, სადაც მდებარეობს პატარა ქალაქი ღაზლი, რომლის სახელი დაკავშირებულია ბუნებრივი გაზის გიგანტური საბადოს ათვისებასთან.

1976 წლის გაზაფხულზე კი სატყეკა „ღაზლის“ უკვე შეშფოთებით წარმოთქვამდნენ — ძლიერი მიწისძვრის შედეგად ქალაქის შენობები დაინგრა. მალე აქ დაიწყო სეისმიდეგი ნაგებობების მშენებლობა, რომლებიც მიწისქვეშა ბიბგებს გაუძლებდა. გაიელის კიდევ ორი წელი და დანგრეული ღაზლის ადგილას ადიდებრეთება თანამედროვე ქალაქი, რომელსაც უძლიერესი მიწისძვრაც ვერას დააკლებს.

უკანასკნელი წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ჩვენს ქვეყანაში ამენებული სეისმომედეგი ნაგებობები უძლებენ 7-8 ბალი სიძლიერის ინტენსიურ მიწისძვრებს, რომლებსაც ჩვენს ქვეყანაში შემოღებული ზკალის მიხედვით „ძალიან ძლიერსა“ და „დამანგრეველს“ უწოდებენ.

საუკუნეების განმავლობაში სეისმომედეგი მშენებლობა ყველა ქვეყანაში მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ხუროთმოძღვრების საერთო განვითარებას, და შეიძლება ითქვას მხოლოდ გასულის მიწურულს და ჩვენი საუკუნის დამდეგს მიეკუთვნება მისი მეცნიერული საფუძვლების ჩასახვა, რასაც ხელი შეუწყო ფუნდამენტურ მეცნიერებათა დარგში მოპოვებულმა დიდმა მიღწევებმა და ტექნიკის მძლავრმა განვითარებამ.

ქალაქ ვერნიში (ახლანდელი ალმა-ათა) და სხვა რაიონებში 1887 წელს მომხდარი მიწისძვრების შედეგების ინჟინერულმა ანალიზებმა რუსეთში, იტალიაში, იაპონიაში მშენებლები და მეცნიერები აიძულეს შეექმნათ სეისმური მშენებლობის პირველი საკანონმდებლო წესები, რომელთა ზოგიერთმა დებულებამ დღემდე შეინარჩუნა მნიშვნელობა (შენობის სადა და მკაფიო ფორმა, კონსტრუქციის მაღალი ხარისხი და სხვ.). შემდეგ შეიქმნა სეისმომედეგობის სტატიკური თეორია, რომელიც იაპონელმა სპეციალისტებმა წამოაყენეს. იგი გამომდინარეობს მოსაზრებიდან, რომ ნაგებობა თავისთავად აბსოლუტურად მყარ სხეულს წარმოადგენს, ხოლო მასში განვითარებული ინერციული ძალები გათვალისწინებულია როგორც შესაბამისი მასების მიერ აჩქარებით წარმოებული რამ.

კიდევ უფრო მოგვიანებით საბჭოთა და ამერიკელმა მეცნიერებმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეიმუშავეს რეკომენდაციები ეგრეთწოდებული დინამიკური თეორიის გამოსაყენებლად. სტატიკურისაგან განსხვავებით ეს თეორია ითვალისწინებს შენობის მოკნილობას, რეზონანსული შეოვლების შესაძლებლობას, რაც საშუალებას იძლევა რაციონალურად მივუდგეთ კონსტრუქციის შერჩევას. დინამიკური თეორია დაპროექტების პრაქტიკაში სსრ კავშირში, „შა“-ში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ომის შემდეგ დაინერგა. ჩვენს ქვეყანაში, სადაც სეისმურად საშიში ოლქების საერთო ფართობი ქვეყნის მთელი ტერიტორიის დაახლოებით 28 პროცენტს შეადგენს, დარაიონების რუკები ოფიციალურ დოკუმენტებად ითვლება და გათვალისწინებული უნდა იქნას საპროექტო ორგანიზაციების მიერ. ამჟამად მოქმედი რუკა, რომელიც დამტკიცებულია 1969 წელს, მიუთითებს შესაძლო ექვს, შვიდ, რვა და ცხრაბალიანი მიწისძვრების რაიონებს, აგრეთვე პუნქტებს, სადაც შესაძლებელია ცხრა ბალზე მეტი ინტენსიურობაც.

ახალი რუკა ამა თუ იმ რაიონის მაქსიმალურ სეისმურობასთან ერთად უნდა შეიცავდეს აგრეთვე მოხაცემებს სხვადასხვა ინტენსიურობის მიწისძვრების მოსალოდნელ განმეორებათა შესაძლებლობის შესახებ, მათი კერების შესახებ და სხვა ცნობებს, რომლებიც საშუალებას მოგვცემს რაციონალურად დავაპროექტოთ ნაგებობა სეისმური რისკის პოზიციიდან.

საბჭოთა მეცნიერები სეისმურ რუკებს ქმნიან არა მარტო თავისი ქვეყნისათვის, არამედ დედამიწის სხვა რაიონებისათვისაც. ბალკანეთის ნახევარკუნძულის სახელმწიფოებში დაინტერესდნენ ამ რეგიონის სეისმური რუკით, რომელიც შექმნეს მოლდავეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერებმა. მასზე განსაზღვრულია ოლქები, სადაც ათ ბალამდე სიძლიერის მიწისძვრა შეიძლება მოხდეს ერთჯერ ორმოცდაათ, ას და 500 წელიწადშიც კი. ეს მონაცემები ბულგარეთ, რუმინეთ, იუგოსლავიეთ, თურქ და ბერძენ დამპროექტებლებს საშუალებას მისცემს რაციონალურად აამენონ ახალი საცხოვრებელი სახლები, მსხვილი სამრეწველო საწარმოები.

ნ. ჩირაძე,
სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.
(საქინფორმი).

მეცნიერების საჭმაროში

დ ა ვ ა მიწისძვრასთან

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

(საქინფორმი).

სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის სპარტაკიადა

მოსკოველთა ნაკრები უძლიერესია

კვირას ხვერდლოვსკში საზეიმოდ დაიხურა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის IV სპარტაკიადა, რომელშიც 30 მილიონზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა. სპარტაკიადამ განამტკიცა ფიზკულტურული კოლექტივები, ხტომული ძისცა სპორტის ზამთრის სახეობათა შემდგომ განვითარებას. ასპარეზობაზე გამოვლინდა ახალი ტალანტები, რომლებიც ასე სურდება ჩვენს ნაკრებ გუნდებს.

როგორც ცნობილია, სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრება გაიმართა ხვერდლოვსკში, პერვოურალსკში, ბაკურიანსა და ნიჟნი ტაგილში. აქ სპარტაკიადის ზამთრის სახეობათა ამ ცენტრებში დამყარდა პირადი, რეპუბლიკური თუ სასპარტაკიადო რეკორდები.

სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის IV სპარტაკიადაში გაიმარჯვა მოსკოვის ნაკრებმა — 5620,875 ქულა.

ფეხბურთი სსრ კავშირის თასზე

პირველი ეტაპი



სსრ კავშირის თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალური ძატჩების პირველი ეტაპის შედეგები ასე თქვა: „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი)-„მატეორი“ (დონეცკი) — 1:2, „არარატი“ (ერევანი)-„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — 5:0, „ნეფტჩი“ (ბაქო)-„შინაკი“ (იაროსლავლი), — 1:0, „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)-ასკ (ოდესა) — 1:1, „ნისტრუ“ (კიშინიოვი)-„სპარტაკი“ (მოსკოვი) — 0:1, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)-„თერგი“ (გროზნო) — 3:0, „კაირატი“ (ალმა-ათა)-„ფაკელი“ (ვორონეჟი) — 0:0, „ზენიტი“ (ლენინგრადი)-„კარპატი“ (ლვოვი) — 1:1, „სპარტაკი“ (რიგა-ნინი) — „დინამო“ (კიევი) — 0:3, „ჩერნომორეცი“ (ოდესა)-ასკ (დონის როსტოვი) — 2:0, „ჰამირი“ (დუშანბე)-„დინამო“ (მოსკოვი) — 0:2, ცსკა-„სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) — 1:1, „ზარია“ (ვოროშილოვგრადი)-„შირაკი“ (ლენინაკანი) — 0:0.

მეთექვსმეტედფინალის გამმეორებითი მატჩები გაიმართება 24 მარტს.

საქართველოს პირველობა

მესამე ტურის შედეგები

გაიმართა საქართველოს სსრ ფეხბურთელთა ჩემპიონატის მესამე ტურის მატჩები. გთავაზობთ შედეგებს:

„მაღაროელი“ (ცხინვალი)-„სპარტაკი“ (თბილისი) — 2:0, „შუახტი“ (ტყიბული)-„ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) — 3:1, „მეტალურგი“ (რუსთავი)-„იბერია“ (ქარელი) — 3:0, „ნადიკვარი“ (თელავი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 3:0, „ჩიხურა“ (საჩხერე)-„ეგრისი“ (ცხაკაია) — 4:0, „კოლხეთი“ (ხობი)-„იბერია“ (ხაშური) — 1:0; „კოლხეთი“ (ფოთი)-„ამირანი“ (ოჩამჩირე) — 3:0, „სქეური“ (წალენჯიხა)-ასკ (თბილისი) — 3:2, „სპარტაკი“ (ცხინვალი)-„ხალხინო“ (გეგეჭკორი) — 0:0, „პოლტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი)-„მერცხალი“ (ახალციხე) — 1:1, „მეტალურგი“ (ზესტაფონი)-„დურუჯი“ (ყვარელი) — 5:0.

ვ. შავლია.

ძალოსნობა

რეკორდების წვიმა

მოსკოვში ძალოსანთა XVIII საერთაშორისო შეჯიბრებაზე 56 კგ-მდე წონითს კატეგორიაში უძლიერესი იყო გორკელი დ. პოსპელოვი. ორჭიდში მან დააგროვა 252,5 კგ (110+142,5). პოსპელოვის შედეგები ორჭიდსა და აკვრაში იუნიორთათვის ახალი მსოფლიო რეკორდებია. 60 კილოგრამამდე წონის კატეგორიაში კი გამარჯვება შოიპოვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნ. კოლესნიკოვმა (ქ. ბუგულმა) ორჭიდში მისი შედეგია 280 კგ (117,5+162,5). მესამე ადგილზე მან აკვრაში 163 კგ დამლია და სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა. 67,5 კგ-მდე წონაში ყველას აჯობა ი. რუსევმა (ბულგარეთი) — 310 კგ (135+175); ატაცში მისი მიჩვენებელი იუნიორთათვის ევროპის რეკორდია, ხოლო, ორჭიდსა და აკვრაში — იუნიორთა მსოფლიო რეკორდებია.

75 კგ-მდე წონის ათლეტებში გაიმარჯვა ლენინაკანელმა ვ. მილიტოსიანმა — 332,5 კგ (142,5+190), 82,5 კგ. წონაში — აგრეთვე ლენინაკანელმა ი. ვართანიანმა —375 კგ (165+210). მან ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — აკვრაში და ორჭიდში.

ძალოსნობა

ცსკა — ჩემპიონი

კვირას მოსკოვში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საუკეთესო ოთხეულის ტურნირის პირველი წრის დასკვნითი მატჩები. ცსკამ დაამარცხა ლენინგრადის „სპარტაკი“ ანგარიშით 123:113 (75:67) და 6 ტურიანი ადრე მაინლიდა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება. თბილისის „დინამო“ წაგო შეხვედრა კიევსაის „ფალგირასთან“ — 84:90 (41:37).

ოთხეულის ტურნირის მეორე წრის წინ გათამაშების ცხრილში მდგომარეობა ასეთია:

	თ.	მ.	წ.	ქ.
ცსკა	28	26	2	54
„სპარტაკი“	28	18	10	46
„დინამო“ (მბ.)	28	15	13	43
„ფალგირასი“	28	14	14	42

მეორე წრის მატჩები გაიმართება ლენინგრადში (14-16 აპრილს).

ჭადრაკი

კარპოვი, ტალი, სპასკი...

ბუგზოინოს საერთაშორისო ტურნირის დამთავრების შემდეგ ამ ასპარეზობაში გამარჯვებულებმა ა. კარპოვმა და ბ. სპასკიმ ყველაზე მეტი პარტიის მოგებისათვის (6-6) მიიღეს პრიზები. კარპოვმა ამასთანავე მიიღო პრიზი „საუკეთესო ფინიშისათვის“, ბალაშოვმა — „საუკეთესო პარტიისათვის“ (ინგლისელ ენტონი მაილსთან). თუგოსლავიის ქალაქ მოსტარში გაიმართა საერთაშორისო ბლიცტურნირი, რომელშიც პირველობა მსოფლიო ჩემპიონმა ა. კარპოვმა მოიპოვა (10 ქულა). მეორე ადგილზე გავიდა მ. ტალი (9), მესამეზე — ბ. სპასკი (8 ქულა). ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ლ. ლუბოეევიჩი (იუგოსლავია), მ. ნაიდორფი (არგენტინა), რ. ბირნი (აშშ), ლ. პორტიში (უნგრეთი), ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) ე. მაილსი (დიდი ბრიტანეთი) და სხვები.

ნონა კვლავ ლიდერია

ბელგრადში დასასრულს უახლოვდება 8 მარტისადმი მიძღვნილი ქალთა საერთაშორისო ტურნირი. გუშინ ტელეფონით დაეუკავშირდით ჩვენს სპეციალურ კორესპონდენტს **ა. ჭიჭინაძეს.** აი, რა გვითხრა მან:

— ტურნირში უკვე გათამაშდა 10 ტური. ნონა გაფრინდაშვილმა მეშვიდე ტურში დაამარცხა **ა. პიპალიჩი** (იუგოსლავია), მერეში — წააგო შეხვედრა ა. დრაგოშევიჩ-გეორგიევისთან (იუგოსლავია), მეცხრეში — მოუგო ა. ბოგდანს (რუმინეთი), ხოლო მეათეში — მ. პეტროვიჩს (იუგოსლავია). ახლა ნონას 7,5 ქულა აქვს 9-იდან და ტურნირს ერთპიროვნულად ლიდერობს. მის უახლოეს მეტოქეებს 9-9 შესაძლებლობიდან ასეთი მდგომარეობა აქვთ: მ. ივანკა (უნგრეთი) — 6 ქულა და 1 გადადებული პარტია, გ. ერენსკა-რაძევსკა (ბოლონეთი) და ე. ვერეცი (უნგრეთი) — 5,5-3,5 ქულა და თითო გადადებული პარტია.

ნონა გაფრინდაშვილი მეთერთმეტე ტურში ხვდება მ. ივანკას, მეთორმეტეში — ა. ნიკოლაიევიას, მეცამეტეში — ტ. შტადლერს.

საპრიზო ადგილებზე

კიევში დამთავრდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატი, რომელშიც პირველობა არავის დაუთმო მოსკოველმა ნატაშა ტიტორენკომ. მან 9 ქულა დააგროვა. 8 ქულით მეორე ადგილზე გავიდა თბილისელი ნინო მელაშვილი, ხოლო მესამეზე — მისი თანამგაკელი მზია წერეთელი — 6,5 ქულა.

წყალბურთი

„გაზაფხულის მერცხლები“

ასე ეწოდება წყალში მხტომელთა საერთაშორისო შეჯიბრებას, რომელიც მინსკში მიმდინარეობს. 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში პირველი იყო საბჭოთა სპორტსმენი ი. კალინინა (702,72 ქულა), ხოლო ვაჟთა შორის უძლიერესი იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი ფ. ჰოფმანი (872,33 ქულა).

ი. ჰოფმანი უძლიერესი იყო 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაშიც — 863,805 ქულა. ასევე, 10-მეტრიანი კოშკიდან უძლიერესი იყო ი. კალინინა — 575,76 ქულა. გაგვახარა ასეთი დიდი შეჯიბრების დებიუტანტმა, თბილისელმა ლიანა ცოტაძემ. მან მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა — 522, 675 ქულა.

პოეზიის საღამო

ხვალ, 22 მარტს, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება **პოეზიის საღამო** — მკითხველებს შეხვდება პოეტი **რეზო ამაშუკელი.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები იყიდება საკონცერტო დარბაზისა და ცენტრალურ თეატრალურ სალაროებში.

პ. თავდომაძე

გარდაიცვალა საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1917 წლიდან ბროკოფი გიორგის ძე **თავდომაძე.** იგი დაიბადა 1895 წელს მახარაძის რაიონის სოფელ ეკვდიანში, ღარიბი გლეხის ოჯახში. პ. თავდომაძე სიყმაწვილიდანვე ჩაება შრომითს საქმიანობაში. 1917-1919 წლებში ეწეოდა საგიტაციო - პროპაგანდისტულ მუშაობას ოზურგეთის მაზრის მწარმოელებს შორის, ხოლო 1919 წლიდან იყო რევოლუციური შტაბის წევრი და აქტიურად მონაწილეობდა მეწმენეკეური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლებში. 1921-22 წლებში მუშაობდა პარტიის ოზურგეთის სამაზრო კომიტეტის მდივნის მოადგილედ. 1922-1923 წლებში მსახურობდა კავკასიის არმიის პირველ ქართულ ლეგიონში. 1923-1924 წლებში მეთაურობდა განსაკუთრებული დანიშნულების ასეულს. 1924-1929 წლებში იყო რაჭის მაზრის სამხედრო კომისარი. 1929 წელს დანიშნეს სახალხო კომისარიატის ერთ-ერთი განყოფილების უფროსად. 1935 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1942-1945 წლებში იყო 1566-ე ევაკოჰოსპიტლის პოლიტგანყოფილების უფროსი. სხვადასხვა დროს, წლების მანძილზე, მუშაობდა შამპანური ღვინოების კომბინატის მშენებელ ინჟინრად, ხოლო 1957 წლიდან 1971 წლამდე მოღვაწეობდა სამტრესტის სისტემაში.

პ. გ. თავდომაძე გამოირჩეოდა დიდი მომთხოვნელობითა და პრინციპულობით, იყო თავმდაბალი, უმწეოკელო მუშაკი, მიღებული პატონდა მთავრობის მრავალი ჯილდო.

მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება ამხანაგების და მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

„განათლებამ“ გამოსცა

საქელმწიფო გამომცემლობა „განათლებამ“ გამოსცა პროფესორ გ. გოლეთიანის მიერ შეადგენილი „რუსული ენის თვითმასწავლებელი“. ეს მეორე, შევსებული გამოცემაა. წიგნში დაბეჭდილია უბრალო და სალაპარაკო ტექსტები, კითხვა-პასუხები, რუსულ-ქართული ლექსიკონი, რუსული ენის გრამატიკული ტაბულები და ძირითადი გრამატიკული წესები, სავარჯიშოები და სხვ. (საქინფორმი).

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

ღია კარის დღე

თბილისის შრომის ორმაგი წითელი დროშის ორდენიანი სახელმწიფო უნივერსიტეტი

ამა წლის 26 მარტს 11 საათზე ამბიტურიენტთა და საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის ატარებს ღია კარის დღეს.

უნივერსიტეტში მოსულ ამბიტურიენტებს შეხვდებიან პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტობა. **არჩეულ სპეციალობასთან დაკავშირებულ საინტერესო საკითხებზე** მათ პასუხს გასცემენ **რექტორატის, პარტიული და კომკავშირული კომიტეტების,** აგრეთვე **გაერთიანებული პროფკომის წარმომადგენლები.** გაიმართება საუბრები ფაკულტეტების სტრუქტურის, მეცნიერების ცალკეული დარგებისა და მათი სპეციფიკის შესახებ.

გასული წლების მისაღები გამოცდების საგნობრივი კომისიების თავმჯდომარეები ისაუბრებენ მისაღები გამოცდების თავისებურებათა შესახებ.

უნივერსიტეტის საბჭო დარბაზში 15 საათზე მოეწყობა შეხვედრა რექტორატისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ფაკულტეტების მიხედვით შეხვედრები გამართავს:

1. **ფილოლოგიის, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის, იურიდიულ, აღმოსავლეთმცოდნეობის, ისტორიის, გეოგრაფია-გეოლოგიის** ფაკულტეტებზე შემსვლელთათვის — პირველ კორპუსში (თბილისი, ვაკე, ი. ჭავჭავაძის პრ. № 1).
2. **ფიზიკის, ქიმიის** ფაკულტეტებზე შემსვლელთათვის — მეორე კორპუსში (თბილისი, ვაკე, ი. ჭავჭავაძის პრ. № 3).
3. **ბიოლოგიის** ფაკულტეტზე შემსვლელთათვის — მესამე კორპუსში (თბილისი, ვაკე, ი. ჭავჭავაძის პრ. № 11).
4. **დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის** ფაკულტეტებზე შემსვლელთათვის (თბილისი, ვაკე, ი. ჭავჭავაძის პრ. № 36).
5. **მექანიკა-მათემატიკის, კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის, ეკონომიკური, საალრიცხვო-ეკონომიკური, საინჟინრო-ეკონომიკური, სახალხო მეურნეობის დაგეგმვის, ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის** ფაკულტეტებზე შემსვლელთათვის — მაღლივ კორპუსში (თბილისი, საბურთალო, უნივერსიტეტის ქ. № 2).

რექტორატი.

ტელევიზია

21 მარტი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — კინონარკვევი, 17.00 — ამბიტიციებთათვის — ქართული ენა, 17.30 — „ცეროდენას ეკრანი“, 17.50 — შეგისწავლოთ ინგლისური ენა, 18.20 — „სახელმწიფო დაზღვევის მნიშვნელობა ჩვენს ქვეყანაში“ (ყვარადი), 18.45 — მოსწავლეთათვის „დიდი გზის დასაწყისი“, 19.25 — სპორტული მიმოხილვა, 19.50 — „შრომა და დასვენება“ — სატელევიზიო პროგრამაგაშრილი ჟურნალი, 20.50 — კინონარკვევი, 21.00 „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — „კინოლექტორიუმი“.

მეორე პროგრამით

18.00 — მასწავლებლის საათი ქართული ენა, 18.45 — კინოჟურნალი, 18.55 — განცხადებები, 19.00 კონცერტი, 19.40 — მხატვრული ფილმი „ტყის საქონელი“, 20.55 — დოკუმენტური ფილმების პროგრამა.

რადიო

22 მარტი

პირველი პროგრამით

06.18 — გადაცემათა პროგრამა, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — „მინდის ბიუროს ცნობა, 07.32 — „დილის კონცერტი“, 08.00 — „გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.32 — ხალხური მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.05 — უკრავს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კამერული ორკესტრი, 11.40 — „პარტიული ცხოვრება“. საუბარი „სამეურნეო და იდეურ-აღზრდელობითი მუშაობის ერთიანობა“, 12.15 — ბ. სმენანა — სიმფონიური პოემა „ელტავა“, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — მ. გელოვანის ლექსები, 12.30 — ი. კიკნაძე — სიმღერები, 13.00 — „დრო, მოვლენები, ადამიანები“ (მოსკოვიდან), 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.55 — „მინდის ბიუროს ცნობა, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. ნ. დუმბაძე — „მარადიობის კანონი“ (გაგრძელება), 14.20 — ა. ბოროდინი. პირველი სიმფონია, 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის — რადიოსადგური „ციციანათელა“, 18.10 — „მელოდია, რიტმი, განწყობილება“ (კონცერტი), 18.45 — „მელოდია, რიტმი, განწყობილება“ (კონცერტის გაგრძელება),